ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 25 ნოემბერი, 2022 №233 (9011) ფასი: 80 თეთრი

## აეროპორტის გზაზე ავარიას „გლოვოს“ კურიერი ემსხვერპლა

გვ.5



# „მელია რამე თანამდებობაზე რომ შემოგვპარვოდა, ხომ ვერავინ აადღლეზდა იქიდან“



თაკო ჩარკვიანი: „სააკაშვილს ყველაფერს წყალში ნუ ჩავუყრით, კიდევ რამდენი რამ მოუხერხებია ამ საწყალს ამდენი მოღალატის გვერდით“



გვ.2

## „ქართული ოცნება“ ზურაბიშვილის თავმოყვარეობაზე თამაშობს“

სოსო ცინცაძე: „ნიკა გვარამია ხომ არ არის სააკაშვილი. პრეზიდენტი რატომ არ იწყალებს?!“

გვ.3





გვ.3

## „რუსეთი შეიძლება გაეროდან გააძევონ“

გიორგი გაჩეჩილაძე: „ამერიკელებმა რუსები გააფრთხილეს, რომ თუ ის ბირთვული იარაღის გამოყენებას შეეცდება, უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდება“





გვ.4

## სომხეთში ანტირუსული განწყობები ძლიერდება

„რუსეთის გუბერნია ვართ“

## შალვა ხაჭაპურიძე: „იუსტიციის სამინისტროს არ გააჩნია იმის უფლებამოსილება, რომ ასე დამოუკიდებლად ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა ჩაატაროს“



გვ.5

## რიში სუნაკი ირაკლი ღარიბაშვილს: „ჩვენი პარტნიორობა უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში ასეთი უმნიშვნელოვანესი არასდროს ყოფილა“





გვ.2

## ზურაბ ჯაფარიძე: „სალომე ზურაბიშვილს განცხადებებში ბევრი სიმართლის თქმა ახასიათებს“

გვ.2

4 ლევან ხაბეიშვილი: „ცდილობენ, „დამფლითონ“

4 რუსებმა 24 ნოემბერს ხერსონი 17-ჯერ დაბომბეს

5 ხაშურში შვილიშვილმა ბებიის სახლის დაწვა ცადა

6 ხალხი რუსეთის ჯაშუშებს უსწორდება

1993230720223

# „მელია რამე თანამდებობაზე რომ შემოგვპარვოდა, ხომ ვერავინ აადღლეზდა იქიდან“

## თაკო ჩარკვიანი: „სააკაშვილს ყველაფერს წყალში ნუ ჩავუყრით, კიდევ რამდენი რამ მოუხერხებია ამ საწყალს ამდენი მოღალატის გვერდით“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს თაკო ჩარკვიანი პასუხობს.

***– ქალბატონო თაკო, ბოლო პერიოდში პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა სააკაშვილთან მიმართებით ტონი შეარბილა – პრეზიდენტი ციხეში არ უნდა მოკვდეს, სასამართლომ ღირსეული გადაწყვეტილება უნდა მიიღოსო. რა ხდება, ქალბატონო თაკო, ხომ არ მომწიფდა აზრი, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი შეიწყალონ?***

– ამ სანქცირების თემამ, ევროკავშირის რეზოლუციამ, სტატუსის არმინიჭებამ იქნებ დააფიქროს ეს ხელისუფლება. პირდაპირ გვეუბნებიან, გვინდა, რომ მოგანიჭოთ სტატუსი და მოგვეხმარეთო. მეტი რა ქნას იმ ხალხმა? რთული სათქმელია, რას იზამს ხელისუფლება. უკიდურესად ცუდი ხელისუფლება გვყავს.

***– და არ ვიცით, რას იზამს პრეზიდენტი ზურაბიშვილი?***

– დიახ. პროგნოზირება საკმაოდ რთულია. სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ხელისუფლება რომ გვყავდეს, ბევრ რამეს გაითვალისწინებდა. მარტო ცუდია გაკეთებული სააკაშვილის დროს? კარგი არაფერი გაუკეთებია?! დღეს ხომ სერიოზული სისტემური პრობლემა აქვთ. აგერ მურუსიძე, რომელიც ამბობს, მე დღესაც ხელს მოვაწერდი მოლაშვილსა და გირგვლიანსო, ის მურუსიძე ამატ დააწინაურეს და ის მართავს დღეს სასამართლო სისტემას. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, სანამ არა გვაქვს რეფორმირებული სასამართლო და პროკურატურა, მოდით, ნუ გავასამართლებინებთ ამ არარეფორმირებულ სასამართლოს მაინცდამაინც საპრეზიდენტო ინსტიტუციას.

***– თავად სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, ჩვენ არც ძლიერი ინსტიტუტები გაგვაჩნია და არც მართლმსაჯულებაო. ისეთ განცხადებებს აკეთებს, რომ თითქოს საზოგადოების შემზადება მიმდინარეობს.***

– მეც მაგას ვამბობ, თუკი არ გაგვაჩნია არც ერთი, არც მეორე და არც მესამე, მაშინ რატომ ასამართლებინებენ ამ დაქცეულ სისტემას სააკაშვილს?! ყველაფერს წყალში ნუ გადავუყრით მესამე პრეზიდენტს. კიდევ რამდენი რამ მოუხერხებია ამ საწყალს ამდენი მოღალატის გვერდით. პირდაპირ ვამბობ ამას.



***– ეს კარგად გამოჩნდა იმ ფონზე, რაც სააკაშვილის დაარსებულ პარტიაში ხდება...***

– რა თქმა უნდა! ასევე, ხომ კარგად იცის ყველამ, როდესაც რუსეთის ხელისუფლება გებრძვის, იქ ერთი პატარა შეცდომა, შესაძლოა, გახდეს ოცი. ეს არის რუსული მართვის სტილი. ეს არ არის ახალი.

***– პარტიის თავმჯდომარეობისთვის ერთმანეთს ჭამენ, სააკაშვილი აღარც ახსოვთო.***

– კი, ასეა. ამ პარტიის ერთ-ერთი პოლიტსაბჭოს წევრია, არ დავასახელებ ახლა მის გვარს, ისე, ღირსია, დავასახელო. მე მწერს ეს ადამიანი, ქალბატონო თაკო, თქვენ რომ ოპოზიციაში იყავითო, მომაძახა. არაფერი შეეშალოთ! ოპოზიციაში რომ ვიყავი, სწორად ვიყავი. აი, ასეთი ტიპები რომ იყვნენ მაშინ, რომლებსაც გაანალიზებული არა აქვთ არაფერი, ვითომ მიშას მომხრეები იყვნენ და დღეს მიშა მიტოვებული ჰყავთ, ზუსტად მაგიტომ ვიყავი ოპოზიციაში! აბსოლუტურად სწორად ვიყავი! ჩუმად იყვნენ, ხალხს ნუ გააღიზიანებენ. ისედაც დაცემულია ნაციონალური მოძრაობა, ყველა ვხედავთ. პარტიის დაცემა კი ამ თავმჯდომარის პირობებში მოხდა.

***– თქვენი აზრით, ვინ უნდა მოვიდეს ამ პარტიის თავმჯდომარედ?***

– ვინ უნდა მოვიდეს თავმჯდომარედ, ეს ჩემი საქმე მართლა არ არის, მაგრამ არ უნდა იყოს ნიკა მელია, რომელმაც პროცესი უმოქმედობაში მოიყვანა და მის დროს გამეოთხედდა პარტიის რეიტინგი. არც ის დაავიწყდეს არავის, რომ ძალა ერთობაშია, უკიდურესად რეიტინგდაცემულ ნაციონალურ მოძრაობას შევუერთდით და პრაქტიკულად გამარჯვება დავდეთ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე. ამიტომ ამ მოძახებებს თავი დაანებონ! ამ სულელურ ტლინკაობას, რასაც ბედავს ზოგიერთი, ჯობია, თავი დაანებონ, თორემ დაფანტავენ იმ მომხრეებს, რომლებმაც ძალის ერთობით ეს შესუსტებული ვექტორი გააძლიერეს. მლიქვნელები რომ ჰყავდა გარშემო მიშას, ზუსტად დღეს გამოჩნდა, არავის რომ აღარ ახსოვს, ერთეული გამონაკლისების გარდა.

ეს კედელზე შემოვარდნილი აყაყანებული მელიას ტროლ-ბოტები არაფრით განსხვავდებიან „ქართული ოცნების“ ბოტებისგან. ადრე კიდევ კითხვები მქონდა, ახლა, დარწმუნებული ვარ, რომ ამას მიზანმიმართულად აკეთებს. ეს მელია შემთხვევით რამე თანამდებობაზე რომ შემოგვპარვოდა, ხომ ვერავინ აადღლეზდა იქიდან. აქედან არ მიდის ცოცხალი თავით და, ხომ წარმოგიდგენიათ, რას იზამდა! არჩევნების ჩატარება უნდათ პარტიაში და რატომ მონათლა ეს დაპირისპირებად ნიკა მელიამ, რა არის ამაში უცნაური და უკანონო?!

***– ქალბატონო თაკო, ხელისუფლებაში მიმდინარე პროცესებზე რას იტყვით? დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონი ორი მოსმენით მიიღეს პარლამენტში. ევროკავშირის ელჩი აცხადებს, რომ ეს კანონპროექტი აუცილებლად ვენეციის კომისიაში უნდა გაიგზავნოს, ისე ფასი არა აქვს. ხელისუფლება წინააღმდეგია. რას ელით თქვენ?***

– წარმოიდგინეთ, რას აკეთებენ. ჩვენ ვინც უნდა მოგვცეს სტატუსი და ვინც გვეხმარება, იმ ადამიანებს ლანძღავენ და, რასაც ისინი გვეუბნებიან, შეასრულეთო, ესენი ეუბნებიან, არ შევასრულებთო. ეს კი ცალსახად ნიშნავს იმას, რომ შენ არ გინდა, მოგცენ სტატუსი, მეტს არაფერს. მეკითხებიან, რომელი პროექტი უნდა გავიდეს, ოპოზიციის თუ ხელისუფლებისო? უნდა გავიდეს ის პროექტი, რომელიც ახლოს არის დასავლეთის მოთხოვნებთან. ეს ხელისუფლება კი ძალიან მიზანმიმართულად მტრობს საკუთარ ქვეყანას.

***– ფიქრობენ, რომ არ გააგზავნიან ვენეციის კომისიაში.***

– რა თქმა უნდა, ასე იზამენ. სულ ისმის საყვედურები ამ ხელისუფლების წარმომადგენლებისგან, რომ ჩვენ ისინი გვაკონტროლებენ. არავინ არავის არ აკონტროლებს! ისინი აკონტროლებენ საკუთარ სივრცეს. შეამოწმებენ, რა ტიპის ქვეყანა უნდა გახდეს მათი ოჯახის წევრი, ბანდიტურად მოაზროვნე თუ კანონის ჩარჩოების მიმდევარი, აღვირახსნილი, კანონიდან გასული თუ კანონმორჩილი. როდესაც ამერიკა გეუბნება, რომ გადახედავს სენატში დაფინანსების საკითხს, ამ დროს კი გამოვარდება კობახიძე და იტყვის, არასამთავრობოებმა იკითხონო, ეს არის სახელმწიფოს ღალატი! ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან მილიარდებია ჩადებული საქართველოში. სულ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ და მარტო ცე ჰეპატიტის პროგრამა რომ ავიღოთ, მილიარდებს ხარჯავენ შენი ქვეყნისთვის და ბოდიში და კობახიძეს ფეხებზე ჰკიდია, ამერიკა უარს იტყვის თუ არა ჩვენთან პარტნიორობაზე. თუ ამერიკა ტოვებს საქართველოს, ესე იგი ტოვებს რუსეთ-ირანის ხარჯზე. სიტუაცია უკიდურესად მძიმეა. ჩვენ, ოპოზიციამ, მართლა ყველაფერი გავაკეთეთ, რაც ჩვენს უფლებებში იყო. ჩვენ მეტი არაფერი შეგვიძლია. საქართველოს დამოუკიდებლობა არ უნდა დავთმოთ არავითარ შემთხვევაში! ამაზე პასუხისმგებლობა კი ყველას თანაბრად გვეკისრება.

# ზურაბ ჯაფარიძე: „სალომე ზურაბიშვილს განცხადებებში ბევრი სიმართლის თქმა ახასიათებს“



„გირჩი – მეტი თავისუფლების“ თავმჯდომარის, ზურაბ ჯაფარიძის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტს, სალომე ზურაბიშვილს ნიკა გვარამიას შეწყალების ბერკეტი აქვს, თუმცა, აღნიშნულს ივანიშვილთან შეთანხმების გარეშე არ გამოიყენებს.

როგორც ჯაფარიძე განმარტავს, ხშირ შემთხვევაში ზურაბიშვილი სწორ შეფასებებს აკეთებს, თუმცა, ის ივანიშვილს არ უპირისპირდება.

– ვიდრე ქვეყანაში პოლიტპატიმრები არსებობენ, არანაირი სტატუსი არ იქნება. შარლ მიშელის კაბინეტის განცხადებაში, რაც მე ვნახე, ზედმეტად დიპლომატიური ენა არის გამოყენებული, მაშინ, როცა ბრიუსელში ჩავდივართ, იქ გაცილებით პირდაპირი საუბრებია ხოლმე.

პრეზიდენტის პოზიციას რაც შეეხება, შეწყალების ბერკეტი აქვს, მაგრამ არ მჯერა, რომ მის გამოყენებას ის ივანიშვილთან შეთანხმების გარეშე ცდის. ზოგადად, ხშირ შემთხვევაში, პრეზიდენტი ბევრ სწორ შეფასებას აკეთებს ხოლმე, ოღონდ, როცა მთავარ საკითხს ეხება საქმე, ის არასდროს უპირისპირდება ივანიშვილს, არასდროს პასუხისმგებლობას ივანიშვილს არ აკისრებს და აქ სიტუაციას ისე ხატავს, თითქოს, პრობლემები, რომელიც ქვეყანას აქვს, მათ შორის, ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით, ღარიბაშვილისა და კობახიძის პასუხისმგებლობაა და არა ივანიშვილის, რაც სიმართლე არ არის, – განაცხადა ჯაფარიძემ.

ის ასევე გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას, რომლის მიხედვითაც, თუკი, შესაბამისი საექსპერტო დასკვნა იქნება, სააკაშვილთან დაკავშირებით გადაწყვეტილება სასამართლომ უნდა მიიღოს.

– სალომე ზურაბიშვილს რაში დასჭირდა ეს განცხადება, არ ვიცი, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, თუ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელიც მერე არ მოეწონება, შეიძლება ეს თქვას, ოღონდ პასუხისმგებლობას აჰკიდებს, ვთქვათ, მურუსიძე-ჩინჩალაძესა და სასამართლოს და არა ივანიშვილს. არც ერთ შემთხვევაში ივანიშვილს არ დაადანაშაულებს იმაში, რაც ხდება. ზურაბიშვილს ახასიათებს განცხადებებში ბევრი სიმართლის საუბარი, ოღონდ, ეს სიმართლე მთავრდება იქ, როცა საკითხი მიდგება ივანიშვილის პასუხისმგებლობაზე, – განაცხადა ჯაფარიძემ.



10 DOWNING STREET
LONDON SW1A 2AA

THE PRIME MINISTER

23 November 2022

Dear Prime Minister,

Thank you for your letter of congratulations dated 26 October.

Firstly, may I say how grateful I was for your visit to the British Embassy in Tbilisi to convey your condolences on the death of Her Late Majesty Queen Elizabeth II.

At this challenging time and while we celebrate 30 years of renewed diplomatic relations, our close partnership on security and defence has never been more important. Please be assured that the UK stands with Georgia in the face of continued Russian aggression. The UK remains resolute in our support for Georgia's sovereignty and territorial integrity within its internationally recognised borders. We will continue to call on Russia to reverse its recognition of the so-called independence of the Georgian regions of Abkhazia and South Ossetia and press for the provision of unhindered access for humanitarian assistance to these regions.

I am pleased that in early 2023 the UK will host the next Wardrop Strategic Dialogue, covering the full range of cooperation between our two countries and further building on the Strategic Partnership and Cooperation Agreement that entered into force on 1 January 2021.

I also welcome the support that Georgia is providing to Ukraine. This illegal war has brutally reminded us of the threat that Russia poses to fundamental principles of international law, including territorial integrity. The UK's support for Ukraine, like our support for Georgia, will not falter.

I look forward to working with you to strengthen our partnership and reinforce the prosperity, peace and security of our peoples.

Yours sincerely,

Rishi Sunak

His Excellency Mr Irakli Garibashvili

# რიში სუნაკი ირაკლი ღარიბაშვილს: „ჩვენი პარტნიორობა უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში ასეთი უმნიშვნელოვანესი არასდროს ყოფილა“

– ამ გამოწვევებით სავსე პერიოდში, როდესაც დიპლომატიური ურთიერთობების განახლებიდან 30 წლის იუბილეს აღვნიშნავთ, ჩვენი პარტნიორობა უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში ასეთი უმნიშვნელოვანესი არასდროს ყოფილა, – ამის შესახებ დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი რიში სუნაკი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავს.

როგორც წერილშია აღნიშნული, გაერთიანებული სამეფო საქართველოს გვერდით დგას რუსეთის განგრძობადი აგრესიის პირობებში.

– ბატონო პრემიერ-მინისტრო! მადლობას მოგახსენებთ 26 ოქტომბრით დათარიღებული მილოცვის წერილისთვის. უპირველეს ყოვლისა, უდიდეს მადლობას გიხდით მისი უდიდებულესობა ელისაბედ II დედოფლის გარდაცვალების გამო თბილისში ბრიტანეთის საელჩოში მიბრძანებისა და თანაგრძნობის გამოხატვისთვის.

ამ გამოწვევებით სავსე პერიოდში, როდესაც დიპლომატიური ურთიერთობების განახლებიდან 30 წლის იუბილეს აღვნიშნავთ, ჩვენი პარტნიორობა უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში ასეთი უმნიშვნელოვანესი არასდროს ყოფილა. მინდა დაგარწმუნოთ, რომ გაერთიანებული სამეფო საქართველოს გვერდით დგას რუსეთის განგრძობადი აგრესიის პირობებში. ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და ვაგრძელებთ რუსეთის მოწოდებას, რათა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარება გაითხოვოს და საქართველოს ხსენებულ რეგიონებში ჰუმანიტარული დახმარებაზე დაუბრკოლებელი წვდომა უზრუნველყოს.

მიხარია, რომ 2023 წლის დასაწყისში გაერთიანებული სამეფო უმასპინძლებს „უორდროპის სტრატეგიული დიალოგის“ შემდეგ ღონისძიებას, რომელიც ჩვენს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის მთელ სპექტრს მოიცავს და კიდევ უფრო განამტკიცებს სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას, რომელიც 2021 წლის 1 იანვარს შევიდა ძალაში.

მივესალმები ასევე უკრაინისადმი საქართველოს მხარდაჭერას. ამ უკანონო ომმა უხეშად შეგვახსენა ის საფრთხე, რომელსაც რუსეთი უქმნის საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლურ პრინციპებს, მათ შორის ტერიტორიულ მთლიანობას.

ურყევია გაერთიანებული სამეფოს მხარდაჭერა უკრაინისადმი, ისევე, როგორც საქართველოსადმი.

მოუთმენლად ველი თქვენთან მუშაობას ჩვენი ერების კეთილდღეობის, მშვიდობისა და უსაფრთხოების მიზნით ჩვენი პარტნიორობის გაძლიერებისა და გამყარების გზით, – აღნიშნულია წერილში.

ISSN 1987-9385
9 771987 938006
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ქართული ოცნება“ ზურაბიშვილის თავმოყვარეობაზე თამაშობს“

## სოსო ცინცაძე: „ნიკა გვარამია ხომ არ არის სააკაშვილი. პრეზიდენტი რატომ არ იწყალებს?!“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო სოსო, პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა მიხეილ სააკაშვილის შეწყალებასთან დაკავშირებით განაცხადა, თუ ჯანმრთელობის გაუარესებაზე დასკვნა დაიდება, სასამართლომ ღირსეული გადაწყვეტილება უნდა მიიღოსო. თავად არ შეიწყალებს?***

– არა, როგორც ჩანს, მყარად აქვს გადაწყვეტილი, რომ არ შეიწყალოს. შეიძლება მოითხოვოს ნორმალური მართლმსაჯულება და მთავრობამ მიიღოს გადაწყვეტილება, რომ სამკურნალოდ გადაიყვანოს საზღვარგარეთ. ყველაფერს გააკეთებს, ოღონდ თვითონ არ შეიწყალოს, მაგრამ, არაფერი არ არის გამორიცხული, ისე ვითარდება მოვლენები.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ ყველაფერს აკეთებს „ქართული ოცნება“ იმისთვის, რომ სალომე ზურაბიშვილმა რუბიკონი გადალახოს და ისე გააბრაზოს, რომ შეიწყალოს კიდეც. ამაში ნამდვილად ეხმარებიან.

„ქართული ოცნება“ სერიოზულად თამაშობს ზურაბიშვილის თავმოყვარეობაზე. არადა, ძალიან თავმოყვარე ქალია. პირდაპირ ეუბნებიან – თუ მაგარი ხარ, შეიწყალე! მარგველაშვილზე უარეს დღეში ჰყავთ – სრულ იგნორირებაში. ვერ გეტყვით, როდემდე აიტანს ამ მოცემულობას. ეს არ არის ნორმალური მოცემულობა პრეზიდენტსა და მთავრობას შორის ურთიერთობაში. ალბათ „ოცნება“ ფიქრობს, რომ ძალიან მიქარა, როდესაც ზურაბიშვილს მხარი დაუჭირა, მაგრამ შემდეგ პრეზიდენტს უკვე პარლამენტი აირჩევს და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. აირჩევენ ან სოზარ სუბარს, ან ყოფილ ფეხბურთელ ყაველაშვილს აჯანყებულებიდან.

პირად მიმოწერას უქვეყნებენ, უკრძალავენ ვიზიტებს. ეს ყველაფერი საჯარო გახდა. რა თქმა უნდა, ეს არ არის პრეზიდენტისადმი დამოკიდებულება. აქ სუბორდინაციაც კი დარღვეულია. ამიტომ ვამბობ, რომ შეიძლება დადგეს ისეთი წუთი, არც ივანიშვილს არ მოერიდოს და შეიწყალოს, მაგრამ ამის შანსი ძალიან ცოტაა.

***– ის ამბობს, რომ არ სურს, პრეზიდენტი ციხეში მოკვდეს.***

– გასაგებია, მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ არაფერს აკეთებს. მას აქვს ყველა ბერკეტი. ის კონსტიტუციურად არის აღჭურვილი და უზრუნველყოფილი, რომ შეიწყალოს და ვერავინ ვერაფერს ეტყვის, რადგან ეს მისი დისკრეციაა. ამის გამო ვერც გადააყენებენ და ვერც ვერაფერს ვერ უზამენ.

***– იმპიჩმენტის პროცედურის წამოწყებაზე რას იტყვით?***

– რომც წამოიწყონ, მერე რა, ვერაფერს ვერ შეძლებენ. არც ჰყოფნით ხმები და არც ასეთი მარტივია იმპიჩმენტის პროცედურა. ერთი სიტყვით, თუ უნდა, შეიწყალებს. ერთადერთი, ვისთანაც კომუნიკაცია აქვს, ალბათ ივანიშვილია, ბოლოს და ბოლოს, დაურეკავს და წინასწარ მის აზრს გაიგებს.



***– ერთხელ თქვა, მცდელობა მქონდა ერთხელ და არ მიპასუხა ტელეფონზეო.***

– შეიძლება, არ არის გამორიცხული, ასეც იყოს, მაგრამ, თუ სალომე ზურაბიშვილს აინტერესებს, ახლა რა რეაქცია ექნება ივანიშვილს ჯანმრთელობაშერყეული სააკაშვილის შეწყალებაზე, გაიგებს.

როგორც ზურაბიშვილი ამბობს, პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ არ აპირებს პოლიტიკაში დარჩენას. ალბათ, კარიერას დაასრულებს და ისევ საფრანგეთში დაბრუნდება საცხოვრებლად. ქალბატონ პრეზიდენტს წერა უყვარს. ალბათ მემუარებს დაწერს. რა უნდა დაწეროს, რომ მისი ერთ-ერთი წინამორბედი პრეზიდენტი, რომლის სიცოცხლეც შეიძლება ძალიან ცუდად დასრულდეს, არ შეიწყალა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს არ მოეწონებოდა ან თუნდაც ძალიან გაბრაზდებოდა ივანიშვილი?! არ გამოვრიცხავ, რომ პიროვნულად ძალიან რთული არჩევანის წინაშე იდგეს. კეისარზე უფრო რთული რუბიკონი აქვს გადასალახი.

***– როგორ ფიქრობთ, ამ რუბიკონს გადალახავს?***

– საზოგადოებასაც, პრესასაც თავიანთი როლი ექნებათ ამ პროცესში. ალბათ, საზოგადოებრივმა აზრმა, განწყობამ უნდა იმოქმედოს.

***– როგორ ფიქრობთ, საერთაშორისო ზეწოლა შეიძლება იყოს?***

– საერთაშორისო საზოგადოების პოზიცია ღიად არის ცნობილი. არანაირ სიკეთეს არ მოუტანს ქვეყანას, მის პერსპექტივებს ევროკავშირში, საერთოდ დასავლურ ცივილიზაციაში პრეზიდენტის ციხეში სიკვდილი ან მისი ჯანმრთელობის განადგურება. ეს იცის სალომე ზურაბიშვილმა და სწორ განცხადებებს აკეთებს, მაგრამ არ მოქმედებს ამ განცხადებების შესაბამისად. ნიკა გვარამია ხომ არ არის სააკაშვილი. რატომ არ იწყალებს?! ხომ ცალსახაა სასამართლოს განაჩენი. ფაქტია, სალომე ზურაბიშვილი ამ ნაბიჯებს ჯერ ვერ დგამს, მიუხედავად იმისა, რომ მას ხელთ აქვს კონსტიტუციური ბერკეტებიც და გარანტიებიც.

# „რუსეთი შეიძლება გაეროდან გააძევონ“

## გიორგი გაჩეჩილაძე: „ამერიკელებმა რუსები გააფრთხილეს, რომ თუ ის ბირთვული იარაღის გამოყენებას შეეცდება, უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდება“



„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე პასუხობს.

გულიკო ბალაძე

***– ბატონო გიორგი, თქვენ წერთ, რომ პუტინსა და მის ბანდას საერთაშორისო ტრიბუნალი ემუქრება. რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს მაშინ, როცა რუსეთი უშიშროების საბჭოდან ვერ გაუძევებიათ?***

– პუტინის ხელისუფლების, მისი ბანდის გარშემო წრე იკვრება. თითქმის ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია, ფაქტობრივად, პუტინის ხელისუფლების მმართველობიდან ჩამოცილებას ითხოვს. სამი უმსხვილესი საერთაშორისო ორგანიზაცია მას ტერორისტულ სახელმწიფოდ აცხადებს.

მაგალითად, ევროპის საბჭომ, რომელშიც 46 წამყვანი სახელმწიფოა გაერთიანებული, პირველმა რეზოლუციაში ჩაწერა, რომ რუსეთი ტერორისტული სახელმწიფოა, ხოლო პუტინის ხელისუფლება ტერორისტული ხელისუფლებაა.

ამას მოჰყვა ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება (რომელშიც შედის უმძლავრესი 30 წამყვანი სახელმწიფო) და რუსეთი ტერორისტულ სახელმწიფოდ აღიარა.

გუშინ უკვე ევროპის პარლამენტმაც მიიღო შესაბამისი რეზოლუცია, თუმცა – ცოტა შერბილებული სახით. ფორმულირება ასეთია: რუსეთის ხელისუფლება ტერორიზმის დამფინანსებლად გამოაცხადა, რაც თავისი შინაარსით იგივეა, რაც ტერორისტული სახელმწიფო.

***– სხვათა შორის, მაგ გადაწყვეტილებაზე თქვეს, რუსეთის პირდაპირ ტერორისტულ სახელმწიფოდ გამოცხადების შეეშინდათო.***

– ევროპის პარლამენტი პოლიტიკური ჯგუფებისაგან შედგება. სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფს სხვადასხვა პოზიცია გააჩნია. თუმცა, ევროკავშირის ყველა ჯგუფმა (სხვადასხვა პოლიტიკურმა უძლავრესმა ჯგუფმა) კონსენსუსს მაინც მიაღწია და რუსეთი ტერორიზმის დამფინანსებლად მოიხსენია, რაც თავისი შინაარსით იგივეა, რაც ნატომ და ევროპის საბჭომ მიიღო.

ამ ორგანიზაციებში გაერთიანებული ქვეყნები წამყვანი სახელმწიფოები არიან. მათ სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო პოლიტიკურ სისტემაში.

ნიშანდობლივია, რომ გაეროც, რომელშიც 180 ქვეყანაა გაერთიანებული, რუსეთის წინააღმდეგ და უკრაინის მხარდასაჭერად გადაწყვეტილებას იღებს. ფაქტობრივად, თითზე ჩამოსათვლელია ქვეყნები, რომლებიც ამას მხარს არ უჭერენ.

რუსეთის დაგმობისა და უკრაინის მხარდაჭერის ერთ-ერთ ბოლო რეზოლუციას 141-მა ქვეყანამ დაუჭირა მხარი, მათ შორის, საქართველომაც. რუსეთის საწინააღმდეგო რეზოლუციის წინააღმდეგ ხმა მხოლოდ 5-მა ქვეყანამ მისცა. ფაქტობრივად, მთელი მსოფლიო პუტინის ხელისუფლების წინააღმდეგაა ამხედრებული.

წინაპირობა ისაა, რომ თუ ომი დამთავრდა, სისხლის სამართლის ჰააგის ტრიბუნალზე საქმე აუცილებლად აღიძვრება უშუალოდ პუტინისა და მისი გარემოცვის წინააღმდეგ.

***– ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ, რუსეთმა რომ გაიმარჯვოს, ჰააგაში საქმე მაინც აღიძვრება?***

– ჰააგაში ყველა შემთხვევაში აღიძვრება საქმე. ჯერ ერთი, რუსეთი ვერანაირად ვერ გაიმარჯვებს, რაც გაეროს გადაწყვეტილებიდანაც ჩანს. რუსეთს მსოფლიო მხარს არ უჭერს, მისი მოქმედებების წინააღმდეგია. ეს იმას მიანიშნებს, რომ რუსეთი ყველა შემთხვევაში იზოლირებული სახელმწიფოა. როგორ უნდა გაიმარჯვოს, როდესაც მთელი მსოფლიო მის წინააღმდეგაა ამხედრებული. მისი პასუხისგების საკითხი ყველა შემთხვევაში დადგება.

ფაქტობრივად, რაც ახლა ხდება – რუსეთის ტერორისტულ ქვეყნად გამოცხადება – იმას ნიშნავს, რომ რუსეთი ტერორისტულ სახელმწიფოდ ცალკეული ქვეყნების პარლამენტებმაც უნდა აღიარონ. აღმოსავლეთ ევროპის, ბალტიისპირეთის ზოგიერთმა ქვეყანამ ეს გადაწყვეტილება უკვე მიიღო.

ახლა მთავარია ევროკავშირის ქვეყნებისა და აშშ-ის გადაწყვეტილებები. როდესაც ისინიც რუსეთის ტერორისტულ ქვეყნად აღიარებაში ჩაერთვებიან, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ტერორისტულ ქვეყანასთან ყველანაირი ურთიერთობა უნდა გაწყვიტონ.

***– ანუ შეიძლება პუტინი კუთხეში მიმწყვდეული აღმოჩნდეს.***

– კუთხეში მიმწყვდეული უკვე არის. ხანდახან ბირთვული იარაღის შესაძლო გამოყენების სიგნალებს უშვებს. თუმცა, ამის პასუხი რუსეთს ნატოსა და აშშ-ისაგან აქვს. ამაზე გარკვეული შეხვედრაც მოეწყო. როგორც პრესაში გახმოვანდა, რომელიღაც ქვეყანაში კონფიდენციალურად აშშ-ისა და რუსეთის უშიშროების სამსახურების წარმომადგენლები შეხვდნენ.

ამერიკელებმა რუსები გააფრთხილეს, რომ თუ ის ბირთვული იარაღის გამოყენებას შეეცდება, უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდება. შეიძლება, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ნატომ და აშშ-მ მობილური, ბირთვული იარაღი განათავსონ. ეს საკითხი გადაწყვეტის პროცესშია.

წარმოიდგინეთ, ეს რით შეიძლება დამთავრდეს. გლობალური კატასტროფა იქნება. ძალიან ეჭვი მეპარება, პუტინმა ბირთვული იარაღის გამოყენება გაბედოს, რადგან, მარტო პუტინი ხომ არ წყვეტს, მთელი სისტემაა. თუ პუტინი ამგვარ რამეს დააპირებს, მას რუსეთში იზოლაციას თვითონ გაუკეთებენ.

***– ნოდარ ნათაძის ნათქვამი გამახსენდა; შეიძლება პუტინი თავისმა გენერლებმა ფეხებით ჩამოკიდონო. რატომ გააკეთებენ გენერლები ამას?***

– ისინი საკუთარ თავსაც ხომ უფრთხილდებიან. მართალია, პუტინზე არიან დამოკიდებული, მისი ბანდის წევრებს წარმოადგენენ, მაგრამ ისინიც ხომ საკუთარი თავის გადარჩენაზე ფიქრობენ.

ყოველთვის ასე იყო. მაგალითად, ომის დროს ჰიტლერის წინააღმდეგ დიდი შეთქმულება მოეწყო. ჰიტლერის ბუნკერი ააფეთქეს, მაგრამ გადარჩა.

***– მგონი, მაგაზე ფილმია გადაღებული, „ოპერაცია ვალკირია“.***

– ასეთი პრეცედენტები, ბუნებრივია, არსებობს, თუმცა არის მეორე საფრთხე ფაშისტური ტიპის ქვეყნების ხელმძღვანელების მხრიდან იმავე ჰიტლერის მაგალითზე. როდესაც ჰიტლერი მიხვდა, რომ ომი წაგებული ჰქონდა და კოალიციის ჯარი უკვე ბერლინში იყო, ბოლო ბრძანება გასცა, ბერლინი და დრეზდენი გაენადგურებინათ, მიწასთან გაესწორებინათ.

ასეთია მსგავსი რეჟიმების ბოლო გადაწყვეტილება – თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზე არ ყოფილაო.

***– ზელენსკიმ გაეროს უშიშროების საბჭოდან რუსეთის გაძევება მოითხოვა. ეს მიღწევადია?***

– უშიშროების საბჭოში არიან ისეთი ქვეყნები, როგორიც ჩინეთია. ჩინეთი ჯერჯერობით რუსეთთან აშკარა დაპირისპირებისაგან თავს იკავებს, თუმცა ბოლო პერიოდში აშშ-სა და ჩინეთს შორის დიალოგი დაიწყო. ამ დიალოგის ფარგლებში რა შეთანხმება იქნება, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული.

ამდენად, არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. თუ ქვეყანა ტერორისტად იქნება აღიარებული არა მარტო დიდი გაერთიანებების, წამყვანი ქვეყნების მთავრობებისა და პარლამენტების მიერ, არამედ უშუალოდ აშშ-ისა და გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყნების მიერაც, რა თქმა უნდა, ავტომატურად დადგება გაეროს უშიშროების საბჭოდან რუსეთის გაძევების საკითხი, რადგან გაეროს უშიშროების საბჭოსა და საერთოდ გაეროს შექმნის ძირითადი მოტივაცია მშვიდობის დამყარება და ფაშისტური მოვ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# პრემიერ-მინისტრი შეხვდა თამარ ბერუჩაშვილს, რომელიც რუმინეთში საქართველოს ელჩად დაინიშნა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი შეხვდა თამარ ბერუჩაშვილს, რომელიც რუმინეთში საქართველოს ელჩად დაინიშნა.

შეხვედრა მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

პრემიერმა თამარ ბერუჩაშვილს მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

თამარ ბერუჩაშვილი სხვადასხვა დროს იკავებდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისა და მინისტრის მოადგილის პოზიციებს, იყო ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი, ასევე ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრი.

ბოლო პერიოდში თამარ ბერუჩაშვილი იკავებდა დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, ასევე შავი ზღვის საკითხებში საგანგებო დავალებათა ელჩის პოზიციებს.

# სომხეთში ანტირუსული განწყობები ძლიერდება

## „რუსეთის გუბერნია ვართ“






მარიამ მჭედლიშვილი

რუსეთის მოკავშირედ მიჩნეულ სომხეთში ანტირუსული განწყობები ძლიერდება. ეს გამოაშკარავდა ახლაც, როცა ერევანში (23 ნოემბერს) გაიმართა კოლექტიური უშიშროების ორგანიზაციის („ოდკბ“) სამიტი.

ერევანმა, რომელიც წელს ამ ორგანიზაციის თავმჯდომარეა, უმასპინძლა „ოდკბ“-ს საბჭოს სესიას, აგრეთვე საგარეო, თავდაცვის მინისტრებისა და უშიშროების საბჭოების სხდომას.

ორგანიზაციაში ამჟამად, რუსეთისა და სომხეთის გარდა, შედიან ბელარუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი.

სტუმრების წინაშე „ოდკბ“-ს მიმართ მორიგი პრეტენზია გამოთქვა სომხეთის პრემიერმა ნიკოლ ფაშინიანმა. მისი პოზიცია ცნობილია — ის ორგანიზაციისგან მოითხოვს დახმარებას აზერბაიჯანთან ჯერ კიდევ დაუსრულებელი კონფლიქტის პირობებში.

ერევანში ჩასულმა პუტინმა სომხეთის პრემიერს ორგანიზაციის პრობლემებზე საუბარი კამერების გარეშე შესთავაზა.

### „ოდკბ, წადი!“, „რუსეთი მტერია“, „ფაშინიანი რუსეთს უარს არაფერზე ეუბნება“

პუტინის ერევანში ჩასვლას წინ უძღოდა საპროტესტო გამოსვლები. ამჯერად მათი ორგანიზატორი იყო „ეროვნულ-დემოკრატიული პოლუსი“. წინა თვეებში გამართული აქციების მსგავსად, აქტივისტებმა მოითხოვეს სომხეთის გამოსვლა „ოდკბ“-დან. მათი სლოგანები ასეთი იყო: „ოდკბ, წადი!“, „რუსეთი მტერია“.

პროტესტის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ რუსეთი სომხეთს თავს ახვევს საკუთარ ნებას. მათ ხელში ეკავათ უკრაინის, ასევე აშშ-ისა და საფრანგეთის დროშები.

**აქციის მოდერატორი ვააგნ ავაკიანი, რუსეთის გარდა, ფაშინიანსაც აკრიტიკებს:**

— სომხეთის საზოგადოებას თვალში ნაცარს აყრიან, როცა ეუბნებიან, რომ ნიკოლ ფაშინიანი პროდასავლელი პოლიტიკოსია. ის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ უსიტყვოდ ასრულებდა რუსეთის დავალებებს. ფაშიანიანი დაეთანხმა რუსეთს კონტინგენტის სირიაში გაგზავნაზე, ასევე მთიან ყარაბაღში რუსეთის სამშვიდობოების განლაგებაზე. შექმნეს მითი, თითქოს ფაშინიანს ავიწროებენ იმის გამო, რომ ვითომ ის პროდასავლელი პოლიტიკოსია.

**„ეროვნულ-დემოკრატიული პოლუსის“ მომხრე ვაგინაკ პეტროსიანი:**

— „ოდკბ“-ს ქვეყნების მეთაურების სომხეთში ყოფნა არასასურველია. ჩვენ გვითრევს რუსულ-თურქული ტანდემი, რომელიც აბრკოლებს ჩვენს ურთიერთობას მსოფლიოსთან. ჩვენ რუსეთის გუბერნია ვართ. გვინდა, საზოგადოებამდე მივიტანოთ დეკოლონიზაციის მნიშვნელობა.

რუსეთის საწინააღმდეგო გამოსვლები სომხეთში განსაკუთრებით გაძლიერდა სექტემბერში სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე მომხდარი ესკალაციის შემდეგ. საზოგადოება „ოდკბ“-სგან მოითხოვდა სომხეთის წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებას.

პოლიტოლოგებში გამოითქვა ისეთი მოსაზრებაც, რომ ეს ესკალაცია ერთმანეთთან გარიგებითა და რუსეთის მითითებით ერთად მოაწყვეს სომხეთისა და აზერბაიჯანის ლიდერებმა, რათა ჩაეშალათ ნენსი პელოსის ვიზიტი სომხეთში.

ნენსი პელოსი სექტემბერში სომხეთში მაინც ჩავიდა. ვაშინგტონი (ენტონი ბლინკენის მონაწილეობით) კი აქტიურად ჩაება აზერბაიჯან-სომხეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში. პუტინი ცდილობს, ეს ინიციატივა ხელიდან არ გაუშვას. მან ერევანში ჩამოსვლის წინ აზერბაიჯანის პრეზიდენტსაც დაურეკა, სომხეთში კი ისაუბრა 31 ოქტომბრის სოჭის შეხვედრისა და მანამდე კრემლის მონაწილეობით ხელმოწერილი შეთანხმებების შესრულების აუცილებლობაზე.

აშშ-ც და აგრესორი რუსეთიც გამოთქვამენ იმედს, რომ კავკასიის ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთთან გააფორმებს საბოლოო სამშვიდობო შეთანხმებას.

ამ პროცესში, სავარაუდოდ, „ოდკბ“-ს არანაირი როლი არ ექნება. რუსეთის ფედერაციის საბჭოს ვიცესპიკერი კონსტანტინ კოსაჩოვი აცხადებს, რომ კონფლიქტი აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არ მიეკუთვნება „ოდკბ“-ს კომპეტენციას. კოსაჩოვი ირწმუნება, რომ რუსეთს არ უკავია არცერთი მხარის პოზიცია, თურქეთი კი აშკარად ერთის მომხრეა, რაც, მისი აზრით, შეცდომაა.

რუსეთი ბოლო დროს მართლაც უფრო ნაკლებად ემხრობა სომხეთს, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ რუსეთის პოზიცია მყარდება აზერბაიჯანში. ყარაბაღში რუსეთის სამშვიდობო ძალების ყოფნის ვადა განსაზღვრულია 2025 წლამდე. რუსეთის ზოგადი სამხედრო და პოლიტიკური დასუსტება უკრაინაში ომის ფონზე თვალსაჩინოა.

# მარიამ ჯიშკარიანმა მიხეილ სააკაშვილის ექსპერტიზის დასკვნა პრეზიდენტის წარმომადგენელს გადასცა



ცენტრ „ემპათიის“ ხელმძღვანელი მარიამ ჯიშკარიანი ათონელის რეზიდენციაში საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველსა და ადმინისტრაციის წარმომადგენელს შეხვდა და ექსპერტიზის დასკვნა გადასცა.

მისი თქმით, ადმინისტრაციაში დაინტერესებული არიან მესამე პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობით.

— შევხვდი საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლებს. მათ დიდი ინტერესი გამოხატეს მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობისა და ასევე დასკვნაში ასახული მტკიცებულებებისა და დებულებების მიმართ. მე მათ გავუზიარე ჩემი მოსაზრება და მათ შორის საერთაშორისო ექსპერტების, რომლებიც ვთანხმდებით, რომ მიხეილ სააკაშვილი აუცილებლად უნდა იყოს გადაყვანილი რაც შეიძლება სწრაფად საზღვარგარეთ, იქნება ეს აშშ თუ ევროპა, მულტიპროფილურ საუნივერსიტეტო ც კლასის კლინიკაში, სადაც შესაძლებელი იქნება როგორც სწორი დიაგნოსტიკა, ასევე სწრაფი და დაუყოვნებელი სწორი მკურნალობა და რეაბილიტაცია, — ამბობს მარიამ ჯიშკარიანი.

ჯიშკარიანი სალომე ზურაბიშვილსა და საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, დროულად მიიღონ გადაწყვეტილება მესამე პრეზიდენტის უცხოეთში გადაყვანის შესახებ, რადგან ამ დრომდე არ არსებობს დაზუსტებული დიაგნოზი.

— მე მინდა მოვუწოდო სალომე ზურაბიშვილსა და ხელისუფლებას, პაციენტი დაუყოვნებლივ იქნეს გაყვანილი დიაგნოსტიკისთვის და შემდგომი მკურნალობისთვის. სასამართლო პროცესები შეიძლება მიმდინარეობდეს პარალელურ რეჟიმში, თუმცა არაფერი არ უდგას წინ პაციენტის ჰუმანიტარული მისიით გადაყვანას...

არ გვაქვს დაზუსტებული დიაგნოზი. გვაქვს „ემპათიის“ დასკვნაში მძიმე დიაგნოზები, რომელიც ექვემდებარება პაციენტის გათავისუფლებას იურიდიულ სტანდარტებში, მაგრამ სიტუაცია არის აუცილებლად სასწრაფო მისი ჯანმრთელობიდან გამომდინარე... აუცილებელია პაციენტის სრულყოფილი ექსპერტიზა, რომელიც, ვფიქრობ, რომ საქართველოში ვერ ჩატარდება, რადგან კლინიკა „ვივა მედის“ სამედიცინო ბარათებში ბევრ დიაგნოზში ვკითხულობთ, რომ დაუზუსტებელია, — ამბობს ჯიშკარიანი.

# ლევან ხაბეიშვილი: „ცდილობენ, „დამფლითონ“



— უკანასკნელი დღეებია, განსაკუთრებული ნადირობაა გამოცხადებული პირადად ჩემზე და ჩემს მეგობრებზე. ცდილობენ, „დამფლითონ“, შემჭამონ, ტალახი ისროლონ და ჩემს რეპუტაციას ზიანი მიაყენონ, — ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, პარტიის თავმჯდომარეობის კანდიდატი ლევან ხაბეიშვილი სოციალურ ქსელში წერს.

მისივე განცხადებით, სამთავრობო მედიის, სახელისუფლებო „ექსპერტების“, სუს-ის მედიაჯგუფებისა და „რუსული ოცნების“ წარმომადგენლების ღია თავდასხმა შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს და ნათელია, რომ ისინი მისი სახელის „დემონიზებას“, დისკრედიტაციას ცდილობენ.

— გააზრებული მაქვს პასუხისმგებლობაც და მასშტაბიც, რა საქმესაც ვეჭიდები. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში საკმარისზე დიდი გამოცდილება დავაგროვე რუს ოლიგარქებთან, მკვლელებთან, ყაჩაღებთან ბრძოლაში და, შესაბამისად, ვერანაირი დაბრკოლება ვერ იმოქმედებს ჩემზე, ჩემს მეგობრებზე. ცდილობენ ჩემი სახელის „დემონიზებას“, დისკრედიტაციას და ათას სიბინძურეს მიგონებენ. შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს ღია თავდასხმა სამთავრობო მედიების, სახელისუფლებო „ექსპერტების“, სუს-ის მედიაჯგუფებისა და „რუსული ოცნების“ წარმომადგენლების. თვალს ადევნებთ პროპაგანდის ნიაღვარს აბსოლუტურად ყველა მიმართულებით.

ერთადერთი, რის გამოც გადავდგი ეს ნაბიჯი და ოლიგარქიული რეჟიმის წინააღმდეგ გენერალურ ბრძოლაში შევდივარ, არის ქართველი ხალხის, „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერების გონიერება, ნდობა, მხარდაჭერა და უანგარო სიყვარული. ვიმარჯვებთ და ვემზადებით გადამწყვეტი ბრძოლის დასაწყებად. სიტყვას გაძლევთ, ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ! — წერს ლევან ხაბეიშვილი.

# რუსებმა 24 ნოემბერს ხერსონი 17-ჯერ დაბომბეს



24 ნოემბერს რუსებმა ხერსონი 17-ჯერ დაბომბეს. დაბომბვის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა, ერთი კი დაიჭრა. ინფორმაციას ამის შესახებ ხერსონის ქალაქის საბჭო ხერსონის საქალაქო-სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელ გალინა ლუგოვაიაზე დაყრდნობით ავრცელებს.

მისივე ინფორმაციით, 20 ნოემბრიდან 24 ნოემბრამდე მტერმა 62-ჯერ დაბომბა ხერსონი, რის შედეგადაც 8 ადამიანი გარდაიცვალა და 4 დაიჭრა. მანვე აღნიშნა, რომ რუსები ქაოტურად ბომბავენ საცხოვრებელ სახლებს, ქალაქში კი ვითარება კვლავ დაძაბული რჩება. ხერსონის საქალაქო-სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მოქალაქეებს ევაკუაციისკენ მოუწოდა.

# „რუსეთი შეიძლება გაეროდან გააძევონ“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ლენების გამორიცხვა იყო. ამიტომ რუსეთის ქმედებები გაეროსა და გაეროს უშიშროების საბჭოს ძირითად პრინციპებთან წინააღმდეგობაში მოდის.

***— ერევანში დსთ-ის უსაფრთხოების ორგანიზაციის, ოდკბ-ეს სხდომა გაიმართა და პუტინი ჩავიდა სომხეთში, რომელსაც აზერბაიჯანთან ბრძოლაში არ დაეხმარა. ამიტომ სომხეთის პრემიერმა ფაშინიანმა ოდკბ-ს გადაწყვეტილებას ხელი არ მოაწერა.***

— ეს ძალიან საინტერესო ფაქტია. ოდკბ-ეს სახელით დეკლარაცია შეიმუშავეს. ოდკბ დსთ-ის სამხედრო გაერთიანებაა და მასშიც უკვე რღვევა მიმდინარეობს. სომხეთის პოზიცია გასაგებია. სომხეთი რუსეთის ყველაზე ახლო პარტნიორი იყო. სომხეთისთვის რუსეთი დასაყრდენი გახლდათ.

***— რუსეთს სომხეთში ბაზაც ხომ აქვს და ამას იტანდა.***

— სომხეთიც კი უარს ამბობს ამ პროცესში მონაწილეობაზე. როგორც აღმოჩნდა, რუსეთი ყველა პარტნიორს ღალატობს, საქართველოსაც ბევრჯერ უღალატა. ისტორიულად რუსეთი იყო გადამგდები ქვეყანა. ყაზახეთი ყველაზე სერიოზული სახელმწიფოა შუა აზიასა და დსთ-ში. მანაც უარი თქვა თავისი რესურსების რუსეთის ტერიტორიის გავლით გატარებაზე.

ახლა, ფაქტობრივად, მოლაპარაკებულია, რომ ყაზახეთის ნავთობი კასპიის ზღვით შემოვა აზერბაიჯანში, იქიდან საქართველოს გავლით ევროპაში გავა. ეს იმას მიანიშნებს, რომ რუსეთის შექმნილ გაერთიანებაში, რომლითაც ნატოს უნდა დაპირისპირებოდა, რღვევაა. საერთაშორისო ცივილიზებულ სამყაროში რუსეთი ტერორისტულ სახელმწიფოდაა გამოცხადებული.

***— მგონი, რუსეთს ბოლოს მარტო ბელორუსი დარჩება.***

— ლუკაშენკო საკმაოდ ეშმაკი კაცია. გარკვეული პერიოდის წინ ის საქართველოში იმყოფებოდა. მას საქართველოს საშუალებით ევროკავშირთან ურთიერთობების დარეგულირება ჰქონდა გადაწყვეტილი, საქართველოს შუამავლად გამოყენება უნდოდა. არსებობს ეჭვი, ლუკაშენკომ ევროპისკენ ყურება რომ დაიწყო, შიგნით ამბოხი იმიტომ მოუწყვესო. მერე რუსეთმა ბელორუსი ისევ დაიბრუნა. თუ რუსეთის იზოლაცია ბოლომდე განხორციელდება, არა მგონია, ბელორუსმა რუსეთისთვის თავი მოიკლას.

მთავარია, თუ რუსეთი დამარცხდება და იქ ხელისუფლების ცვლილებები მოხდება, ჩვენ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსი გვიჩნდება. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა იქნება ერთ-ერთი სერიოზული მოლაპარაკების საგანი იმ მოლაპარაკებებში, რომლებიც საერთაშორისო დონეზე გაიმართება. ეს არის ჩვენი ძალიან სერიოზული პერსპექტივა.

***— ეს პუტინის პირობებში მოხდება თუ პუტინის შემდეგ?***

— ვფიქრობ, ომი პუტინის დამარცხებით დამთავრდება და მოლაპარაკებები გაიმართება იმ ხელისუფლებასთან, რომელიც იმ დროს რუსეთში იქნება.

***— ისეთი აზრიც მუსირებს, რომ თუ რუსეთი უკრაინაში დამარცხდება, შემდეგ შეიძლება საქართველოსკენ შემობრუნდეს და მთლიანად საქართველოს ოკუპაცია მოინდომოს. ამის ალბათობა არსებობს?***

— არა მგონია. პუტინის დამარცხების შემთხვევაში, თვითონ რუსეთში დაიწყება პროცესები. შეიძლება სხვადასხვა ოლქისა და რესპუბლიკის დეზინტეგრაცია დაიწყოს. ისინი დიდი ხანია, დამოუკიდებლობაზე ფიქრობენ. ამიტომ, არა მგონია, რუსეთმა მაგისთვის მოიცალოს.

# ბათუმში 14 წლის შვილის ცემის ფაქტზე დაკავებულ მამას პატიმრობა შეეფარდა

ბათუმში 14 წლის შვილის ცემის ფაქტზე დაკავებულ მამას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, პროკურატურის შუამდგომლობით, სასამართლო პროცესი დაიხურა.

თავის მხრივ, 14 წლის გოგოს მამა წარდგენილ ბრალს არ აღიარებს.

არასრულწლოვანი კი სახელმწიფოს ალტერნატიული ზრუნვის ქვეშ იმყოფება.

ცნობისთვის, ბათუმში, ე.წ. ოცნების ქალაქში, 14 წლის გოგოს ცემის ფაქტზე მოზარდის მამა დააკავეს. არსებული ინფორმაციით, მამა შვილს ფიზიკურად მას შემდეგ გაუსწორდა, რაც შეიტყო, რომ მას 25 წლამდე მამაკაცთან სექსუალური კავშირი ჰქონდა.

როგორც შსს-ში აცხადებენ, მომხდარის გამო უწყებამ გამოძიება ორი მუხლით დაიწყო, რაც სექსუალური ხასიათის დანაშაულსა და ოჯახში ძალადობას გულისხმობს. მათივე ცნობით, დაკავებულია 14 წლის მოზარდის მამა. რაც შეეხება სავარაუდო დამნაშავეს, 25 წლის მამაკაცს, ის ჯერჯერობით დაკავებული არ არის.

# შალვა ხაჭაპურიძე: „იუსტიციის სამინისტროს არ გააჩნია იმის უფლებამოსილება, რომ ასე დამოუკიდებლად ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა ჩაატაროს“

საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ადვოკატის შალვა ხაჭაპურიძის განცხადებით, იუსტიციის სამინისტროს არ გააჩნია იმის უფლებამოსილება, რომ ექსპრეზიდენტს დამოუკიდებლად ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა ჩაუტაროს.

მისი თქმით, ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა შეიძლება ორ შემთხვევაში ჩატარდეს: თუ დაწყებულია წარმოება თავად სასჯელაღსრულების მიერ, მისი სასჯელისგან გათავისუფლებაზე და მეორე, თუ სააკაშვილის შესაძლო მოწამვლის ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, დანარჩენ შემთხვევაში ექსპერტიზის ჩატარება კანონით აკრძალულია.

— პირველი, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, როგორც იქნა, 6 თვის თავზე გაეღვიძათ გრძნობები და, როგორც იქნა, ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა ტარდება. მეორე ვნახავთ, რამდენად კანონიერად ტარდება. იუსტიციის სამინისტროს არ გააჩნია იმის უფლებამოსილება, რომ ასე დამოუკიდებლად ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა ჩაატაროს. ექსპერტიზა შეიძლება ჩატარდეს სააკაშვილთან მხოლოდ ორ შემთხვევაში, მისი სტატუსის მქონე ადამიანთან. ერთი, თუ დაწყებულია წარმოება თავად სასჯელაღსრულების მიერ, მისი სასჯელისგან გათავისუფლებაზე და მეორე, თუ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე სააკაშვილის შესაძლო მოწამვლის ფაქტთან დაკავშირებით. დანარჩენ შემთხვევაში ექსპერტიზის ჩატარება კანონით აკრძალულია.



ჩვენ არ დაგვიდია დასკვნა და ალტერნატიულს რატომ ატარებენ? ბავშვი არ დაბადებულა და სახელს როგორ დავარქმევთ? ჩვენ ვთქვით სადმე, რომ დავდეთ დასკვნა? ჯერ არ წარმოგვიდგენია და შეიძლება არც წარმოვადგინოთ. რა იციან ამათმა. განცხადების საფუძველზე არ აქვთ უფლება ექსპერტიზა დაიწყონ.

ამ საქმეზე ბევრი სიურპრიზი ელოდებათ. კარგი მეცადინეობა და მომზადება დასჭირდებათ. საკმაოდ ჭკვიანი იურისტი იღებს მეორე მხრიდან მონაწილეობას, რომელსაც პატივს ვცემ, საკმაოდ ნიჭიერი ადამიანია, არ გამოვრიცხავ, რომ დაწყებული იყოს წარმოება სააკაშვილის სასჯელიდან გათავისუფლებაზე.

მეორე მხარეს გამოდის საკმაოდ კვალიფიციური იურისტი — ნიკო ჩოლოყაშვილი. მე ვეტყვი ბატონ ნიკოს, თუ დარღვევით ჩაატარებენ, მერე თავად გაუხდებათ პრობლემა და კიდევ თავიდან ჩასაბარებელი იქნება. ტოქსიკოლოგიურ ექსპერტიზას კიდევ თავისი წესები გააჩნია, თუ არის გასული რაღაც თვეები, რომელზეც არ მინდა ახლა ვუკარნახო, მაშინ ჩატარებასაც აზრი არ აქვს. ერთი სიტყვით, მთელი რიგი საკითხებია. მე შევხვდები მას და გავივლით. არ მგონია, რომ სასჯელის გადავადების მიმართულებით შუამდგომლობის შეტანას ეს პროცესი გააჭიანურებს. თუ რამე ექსპერტიზა არის, კანონის ფარგლებში ჩატარდეს და ჩვენ ამის წინააღმდეგი არ ვართ, — განაცხადა ხაჭაპურიძემ.

# აეროპორტის გზაზე ავარიას „გლოვოს“ კურიერი ემსხვერპლა



აეროპორტის გზაზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას „გლოვოს“ კურიერი დავით ქურციკაშვილი ემსხვერპლა.

ინფორმაციას ამის შესახებ გარდაცვლილის მეგობრები ავრცელებენ:

— ზოგჯერ გააზრებაც მიჭირს, თუ რაზე მაქვს ხელი მოწერილი, როდესაც სკუტერზე ვჯდები და სამუშაოდ გავდივარ.

გარდაიცვალა კიდევ ერთი ახალგაზრდა ბიჭი, კოლეგა, დავით ქურციკაშვილი. უფალმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი!

# შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს, 6 პირი დააკავეს, ერთი კი ამხილეს. ამის შესახებ ინფორმაციას შსს ავრცელებს.



— თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1972 წელს დაბადებული გ.მ. ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე დააკავეს. პოლიციამ, ბრალდებულის პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო „ეფ-1“-ის ტიპის ხელყუმბარა.

— შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1963 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ბ.ნ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ, ბ.ნ.-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო ცეცხლსასროლი იარაღები, 128 ვაზნა და 4 მჭიდი.

ამავე დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა კი, 1941 წელს დაბადებული ო.ო. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე ამხილეს. სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ო.ო.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, 680 ვაზნა, 3 ხელყუმბარა და 5 სხვადასხვა მოდელის ცეცხლსასროლი პისტოლეტი ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დმანისის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1967 წელს დაბადებული ა.მ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

პოლიციამ, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო ცეცხლსასროლი იარაღი.

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის საგარეჯოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1996 წელს დაბადებული ე.ა. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო ტარების ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ, ბრალდებულის ავტომობილის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღო რევოლვერი და 28 ვაზნა.

გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1952 წელს დაბადებული გ.წ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

პოლიციამ, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო: სხვადასხვა სისტემის 2 პისტოლეტი, შაშხანა, ფეთქებადი ნივთიერება, 2 ხელყუმბარა, 12 მჭიდი და სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი 293 ვაზნა.

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ონის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1991 წელს დაბადებული დ.ჯ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

პოლიციამ, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო „ნაგანის“ ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, 16 ვაზნა, გადაჭრილი სანადირო თოფი და მცირეკალიბრიანი შაშხანა — ე.წ. გეკო.

დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების, ასევე, ასაფეთქებელი მოწყობილობის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს, — ნათქვამია ინფორმაციაში.

# თბილისში უკრაინის მოქალაქის ცხედარი იპოვეს

მკვლელობაა თუ თვითმკვლელობა? — თბილისში, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილზე, საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს. ექსპერტ-კრიმინალისტები ცდილობენ დაადგინონ, რა გახდა 60 წლამდე უკრაინის მოქალაქის გარდაცვალების მიზეზი.

შუახნის კაცის ცხედარი მეზობლებმა ეზოში იპოვეს და 112-შიც თვითონ დარეკეს. ერთ-ერთი ვერსიით, კაცი მე-16 სართულიდან გადმოვარდნის შედეგად გარდაიცვალა.

მეზობლების ინფორმაციით, უკრაინის მოქალაქე ამირეჯიბის გამზირზე რამდენიმე თვეა, რაც გადმოვიდა და მეუღლეს, შვილთან და სიდედრთან ერთად ცხოვრობდა.

გარდაცვლილის ოჯახის წევრები მედიასთან კომენტარს არ აკეთებენ. ისინი ვერ ხსნიან, რატომ გადაწყვიტა მათი ოჯახის წევრმა სიცოცხლის თვითმკვლელობით დასრულება, თუმცა, უშუალო თვითმხილველის თქმით, სუიციდის ფაქტის არ არსებობს.

— სახლში არ ვიყავი, როცა ეს შემთხვევა მოხდა. მაპატიეთ, ვერ ვსაუბრობ, ახლახან დავკარგე მშობელი, — განუცხადა „ტვ პირველს“ გარდაცვლილის შვილმა. გამოძიება 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# ხაშურში შვილიშვილმა ბებიის სახლის დაწვა ცადა

ხაშურის შს სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს მამაკაცი, რომელსაც ბრალად ბებიის სახლის დაწვის მცდელობა, ასევე ბებიის სტუმრის ცემა და მისი ქონების დაუფლება ედება.

როგორც ხაშურის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ბაჩანა ქარქუზაშვილმა სასამართლო პროცესზე განაცხადა, სტუმარს ჯერ სცემეს, შემდეგ წაართვეს ნივთები, ბოლოს კი, კვალის დაფარვის მიზნით, სახლის იატაკს ცეცხლი წაუკიდეს.

— ღამის საათებში საცხოვრებელ სახლში სტუმრად მყოფის საძინებელ ოთახში ბრალდებულმა მას პირზე მოუჭირა ხელი, ხოლო სახის არეში დაარტყა მარჯვენა ხელი, რის შემდეგაც სახეზე ბალიში დააფარა. მითითებულ დროს სახლში მივიდნენ ბრალდებულის დეიდა და ბებია. მათ დანახვაზე ბრალდებული შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, — განაცხადა პროკურორმა ბაჩანა ქარქუზაშვილმა.

გარდა ამისა, ქარქუზაშვილის ცნობით, ბრალდებულმა გაქცევის დროს თან გაიყოლა სტუმრის კუთვნილი ქურთუკი მასში არსებული თანხით, ასევე, გაიტაცა ხელჩანთა მასში არსებული პირადი კოსმეტიკური ნივთებით, რამაც გამოიწვია 945 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

პროკურორის განმარტებით, ის ღამე ამით არ დამთავრებულა:

— ბრალდებულმა ნავთობპროდუქტების გამოყენებით ცეცხლი წაუკიდა თავისი ბებიის კუთვნილ სხვადასხვა საყოფაცხოვრებო და საოჯახო ნივთს, რომელთა ნაწილი დაზიანდა და ნაწილი განადგურდა. იმავე რიცხვში, ღამის საათებში, ბრალდებული დაბრუნდა ზემოხსენებულ მისამართზე და კვლავ ცეცხლის წაკიდებით დააზიანა ბინის იატაკი. ბებიას მიადგა 580 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი, — აღნიშნა პროკურორმა.




ბრალდებული 2022 წლის 22 მარტს დააკავეს. პირველი, 2022 წლის 12 სექტემბრის განაჩენით, ბრალდებული გამართლდა ყაჩაღობისა და სხვისი ქონების განადგურების მუხლში, ხოლო ძალადობის მუხლით ხაშურის სასამართლომ მას 1 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მას შემდეგ პროკურორი ბაჩანა ქარქუზაშვილი ცდილობს ზემდგომ ინსტანციებში ბრალის დამძიმებას, თუმცა მოწმეები არ ეხმარებიან.

# თბილისი-თელეთის გზაზე მანქანამ 23 წლის გოგო გაიტანა

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად თელეთი-თბილისის გზაზე 23 წლის გოგო დაიღუპა.

ადგილობრივები ამბობენ, რომ გოგო გზაზე გადადიოდა, რა დროსაც სწრაფი სიჩქარით მოძრავი „ოპელის“ მარკის მანქანა შეეჯახა. გოგო ადგილზევე დაიღუპა.

ადგილზე პოლიციაა მობილიზებული. „მთავარი არხის“ ინფორმაციით, დაკავებულია მძღოლი.

# მძღოლი ადგილიდან მიიმალა — ავარია თელავის ცენტრში



ავტოსაგზაო შემთხვევა თელავის ცენტრში — ავტომანქანიდან გადასვლაში მგზავრებს მაშველები დაეხმარნენ. შემთხვევა გუშინ რუსთაველის გამზირზე მოხდა.

მსუბუქ ავტომობილს საპირისპირო მიმართულებით მოძრავი ავტომანქანა შეეჯახა. მანქანა ადგილზე გადაბრუნდა, მეორე მძღოლი კი მიიმალა.

გადაბრუნებული ავტომანქანის სამ მგზავრს გადასვლასა და დამტვრეული მანქანიდან ნივთების გადატანაში მაშველები დაეხმარნენ. ექიმების განმარტებით, მგზავრების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

შემთხვევის ადგილზე საპატრულო პოლიცია, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ეკიპაჟები და მაშველები იმყოფებოდნენ. პარალელურად, სამართალდამცავები მიმალულ მძღოლსა და მის მანქანას ეძებენ.

# ბათუმში კაცმა სიგარეტს მოუკიდა და ცეცხლი გაუჩნდა

არსებული ინფორმაციით, ბათუმში ქუჩაში მყოფმა კაცმა, რომელიც მანქანაში ბენზინს ასხამდა, სიგარეტს მოუკიდა და ცეცხლი გაუჩნდა. სავარაუდოდ, მას საწვავი ხელზე ჰქონდა გადასხმული. ავტომანქანას ცეცხლი არ გასჩენია.

შემთხვევა 23 ნოემბერს, საღამოს მოხდა. ადგილზე სასწრაფო დახმარების სამსახური და საპატრულო პოლიცია იმყოფებოდნენ.

გამოცემა „ბათუმელების“ ინფორმაციით, კაცი სასწრაფო სამედიცინო სამსახურმა კლინიკაში გადაიყვანა. „ბათუმელებს“ დაუდასტურეს, რომ 30 წლამდე კაცი კონტაქტური იყო.

არსებული ინფორმაციით, ახალგაზრდა კაცი ამ დროისთვის რესპუბლიკურ საავადმყოფოშია.

2022, 25 ნოემბერი, №233 ახალი თაობა

# აშშ უკრაინას ახალ ფინანსურ დახმარებას გამოუყოფს



აშშ-ის პრეზიდეტმა ბაიდენმა უკრაინას დამატებით 400 მილიონი დოლარი გამოუყო. ამის თაობაზე იუწყება თეთრი სახლის პრესსამსახური.

ექსპერტების აზრით, აშშ-ის დამატებითი დახმარების შედეგად უკრაინა ახალ შეიარაღებასა და აღჭურვის საშუალებებს შეიძენს.

# აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი უკრაინის დაბომბვას გამოეხმაურა

უკრაინის ტერიტორიის ტოტალურ დაბომბვას აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი გამოეხმაურა. სახელმწიფო მდივანმა ბლინკენმა განაცხადა, რომ დაბომბვები კონკრეტულ მიზანს ისახავს. რუსებს სურთ, მოახლოებული ზამთრის წინ უკრაინა შუქისა და გაზის გარეშე დატოვონ, რათა შემდეგ „მშვიდობის“ საკუთარი პირობები მოახვიონ თავს.

– რუსეთი ამ მიზნებს ვერ მიაღწევს, – თქვა ბლინკენმა.

# მაკრონი: „მოსკოვმა პასუხი უნდა აგოს!“



საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიის დაბომბვას სატანური ტაქტიკა უწოდა. პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთს უკრაინელი ხალხის გატეხა სურს.

– მოსკოვმა ამისათვის პასუხი უნდა აგოს! – თქვა მაკრონმა.

# ევროპარლამენტმა ისტორიული დადგენილება მიიღო

ნატოს საპარლამენტო ასამბლეის შემდეგ ევროპარლამენტმაც ისტორიული დადგენილება მიიღო და რუსეთი ტერორიზმის სპონსორ ქვეყნად აღიარა. ითქვა ისიც, რომ რუსეთი თავისი მიზნების მიღწევას ტერორისტული მეთოდებით ცდილობს.

დადგენილებას მხარი დაუჭირა 494-მა დეპუტატმა, 56 წინააღმდეგ წავიდა, 44-მა თავი შეიკავა.

# რუსული რაკეტების უმრავლესობა ჩამოგდებულია



უკრაინის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, რუსებმა კიევს 31 რაკეტა ესროლეს. აქედან უკრაინელებმა 21-ის ჩამოგდება მოახერხეს. დაბომბვების შედეგად არიან დაჭრილები.

– დაიჭრა 11 ადამიანი, აქედან 4 ბავშვია, – აცხადებს კიევის მერი ვიტალი კლიჩკო.

სულ უკრაინის მიმართულებით რუსეთმა 70 რაკეტა გაუშვა. აქედან უკრაინელებმა 51-ის ჩამოგდება მოახერხეს. ასეთია უკრაინის თავდაცვის სამინისტროს მონაცემები.

რაც შეეხება დანაკარგებს ოკუპანტების რიგებში, ის შემდეგია: ტანკები – 2.897 (+2); თვითმფრინავები – 278; ვერტმფრენები – 261; განადგურებულია 93.410 ოკუპანტი.

# ხალხი რუსეთის ჯაშუშებს უსწორდება




უკრაინის დაბომბვისას თავი წამოყო რუსულმა მეხუთე კოლონამ. კიევში გამოჩნდნენ მოქალაქეები, რომლებმაც კიეველებს მოუწოდეს:

– როდემდე უნდა ვითმინოთ დაბომბვები?! ასე ყველას ამოგვხოცავენ! მოვთხოვოთ ზელენსკის, რომ პუტინის პირობები მიიღოს!

ამან კიეველები აღაშფოთა:

– რუსი ჯაშუშები! დასცხეთ მაგ წყეულებს!

ხალხი მსტოვრებს იქვე გაუსწორდა.

# მოლდოვაში დენი გაითიშა

რუსეთმა მოლდოვას დენისა და გაზის მიწოდება შეუმცირა. შედეგად, მთელ რესპუბლიკაში დენისა და გაზის დეფიციტია.

მოლდოვის ვიცეპრემიერმა სტანუმ აღიარა, რომ ქვეყანაში უმძიმესი მდგომარეობაა.\

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ვეტერანმა დამნაშავე შიშველი ხელებით განაიარაღა



ამერიკის კოლორადოს შტატის მკვიდრმა, 45 წლის ვეტერანმა რიჩარდ ფიერომ, შიშველი ხელებით გააუვნებელყო შეიარაღებული დამნაშავე და ღამის კლუბის ათეულობით სტუმარი გადაარჩინა.

ფიერომ ამერიკის ჯარში 15 წელი იმსახურა, მონაწილეობდა ერაყისა და ავღანეთის საომარ ოპერაციებში და სამსახური 2013 წელს დატოვა. დიდი ხნის განმავლობაში მას ტრავმისშემდგომი სტრესული აშლილობა ტანჯავდა. ის ამ ყოველივეს ფსიქოლოგის დახმარებით ებრძოდა და დროთა განმავლობაში სამოქალაქო ცხოვრებას შეეგუა, ოჯახის მოყვარული მეუღლე და მამა გახდა.

19 ნოემბერს ფიერო მეუღლესთან, მეგობრებთან, თავის ქალიშვილთან და მის ბოიფრენდთან ერთად ღამის კლუბს ეწვია. მოულოდნელად შენობაში სროლის ხმა გაისმა. ფიერო მაშინვე იატაკზე გაწვა მეგობართან ერთად, შემდეგ ირგვლივ მიმოიხედა და კლუბში შევარდნილი ჯავშანჟილეტიანი და შაშხანით შეიარაღებული დამნაშავე შენიშნა, რომელიც უმისამართოდ ისროდა. ყოფილი სამხედრო ფეხზე წამოიჭრა დარბაზი გადაირბინა, ბოროტმოქმედს თავს დაესხა, ძირს დააგდო და ზევიდან დააწვა.

– მე, უბრალოდ, ვიცოდი, რომ უნდა მომეკლა ეს კაცი, სანამ ჩვენ დაგვხოცავდა, – ამტკიცებს ფიერო, რომელმაც ასევე ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ის ინსტინქტურად მოქმედებდა, ვინაიდან მისი გონება და სხეული თავადვე გადაერთო საბრძოლო მდგომარეობაზე.

ბოროტმოქმედის იარაღი იატაკზე დაეცა, მაგრამ მან მაშინვე პისტოლეტი ამოიღო.

– პისტოლეტი ხელიდან გამოვგლიჯე და თავში ცემა დავუწყე, – ყვება ფიერო, რომელიც დამნაშავეს ურტყამდა და ადგილზე პოლიციის მისვლამდე აკავებდა.

როდესაც სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები დაწესებულებაში შევიდნენ, ბოროტმოქმედს წინააღმდეგობის გაწევა უკვე შეწყვეტილი ჰქონდა. პოლიციელების მოსვლის შემდეგ ფიერომ თავისი მეუღლე და მეგობრები მოძებნა. ერთ-ერთი მკერდში და ხელში იყო დაჭრილი, ხოლო მეორე – ფეხში. მან მათთვის სისხლდენის შესაჩერებლად ქამრები გადაუჭირა.

პოლიციელებმა პისტოლეტიანი ფიერო საშიშ პიროვნებად ჩათვალეს, ხელბორკილები დაადეს და პოლიციის მანქანაში ჩასვეს, თუმცა მოგვიანებით გაათავისუფლეს. ამის შემდეგ ის მცირე დაზიანებებით მეუღლესა და ქალიშვილთან ერთად საავადმყოფოში მივიდა. მისი ქალიშვილის ბოიფრენდი ტელეფონის ზარებს არ პასუხობდა. მეორე დღეს ფიეროების ოჯახს ახალგაზრდის დედა დაუკავშირდა და შვილის დაღუპვის შესახებ აცნობა.

პოლიციამ ბოროტმოქმედი დააპატიმრა. ის 22 წლის ანდერსონ ლი ოლდრიჩი აღმოჩნდა. მას ხუთი ადამიანის მკვლელობისა და კიდევ 18-ისთვის ცეცხლსასროლი იარაღით დაზიანებების მიყენების ბრალდება წაუყენეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სპორტი

# იტალიური მედია მუნდიალზე დროის დამატებას აკრიტიკებს




იტალიური მედია მძაფრად აკრიტიკებს მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე მსაჯების მიერ კომპენსირებულ დროს. მუნდიალის საწყის ოთხ შეხვედრას მსაჯებმა, ჯამში, 61 წუთი დაამატეს. დაწვრილებით ასე იყო: 5+5 ყატარისა და ეკვადორის პირველ შეხვედრაში; 14+13 ინგლისისა და ირანის მატჩში; 2+9 სენეგალისა და ნიდერლანდების თამაშში; 4+9 კი – აშშ-სა და უელსის დაპირისპირებაში.

რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს სხვა სპორტია, რომელიც განსხვავდება იმისგან რასაც სერია ა-ში ვუყურებთ. ჩვენს სტადიონებზე მსაჯები 5-6 წუთს რომ ამატებენ, ტრიბუნიდან პროტესტი და ეჭვიანი შეძახილები ისმის. დაახლოებით იგივე ხდება ყველგან, ევროპაში.

ფიფას პრეზიდენტმა ჯანი ინფანტინომ ჯერ კიდევ აპრილში შეგვამზადა იმისთვის, რომ ისტორიაში პირველ შემოდგომის მუნდიალზე სათამაშო დროსთან დაკავშირებული სიახლეები გვექნებოდა.

აი, რა თქვა ინფანტინომ ერთ-ერთ ინტერვიუში:

– აუცილებლად უნდა დავფიქრდეთ სუფთა დროზე. ყოველ მატჩში უამრავი წუთი იკარგება. რაღაც უნდა ვიღონოთ, რადგან მაყურებელი ფულს 90 წუთის სანახავად იხდის, შეხვედრები კი 50 წუთს გრძელდება. დრო, რომელსაც ტაიმების ბოლოს მეოთხე მსაჯები ამატებენ, მჭიდრო კავშირში უნდა იყოს შეხვედრის მსვლელობისას რეალურად დაკარგულ დროსთან.



ამით პრეზიდენტმა ისიც თქვა, რომ სპორტის სხვა სახეობების (კალათბურთი, ამერიკული ბურთაობა) მსგავსად, ფეხბურთში სუფთა დროის აღრიცხვას არ აპირებს, მაგრამ გასაგებად მიგვანიშნა იმაზე, რაც დღეს ყატარში ხდება. შემთხვევითი არ არის, რაც მოგვიანებით ბრძანა ფიფას მსაჯთა კომისიის პრეზიდენტმა პიერლუიჯი კოლინამ – ჩვენ არ გვინდა, მივიღოთ მატჩები, სადაც თამაში მხოლოდ 42 წუთს მიმდინარეობს.

დღეს ობიექტური სურათი ასეთია: ინგლისისა და ირანის შეხვედრას სულ 27 წუთი დაამატეს. აქედან 14 წუთი, რომელიც პირველ ტაიმს მიება, გასაგებია, რადგან ირანის ნაკრების მეკარე ბეირანვანდი დაშავდა და მის მკურნალობასა და თამაშის განახლებას სუფთა 12 წუთი დასჭირდა, მაგრამ, გაუგებარია, რატომ დაემატა მეორე ტაიმს 13 წუთი. კი ბატონო, ორთაბრძოლაში ჰარი მაგუაირს თავი ეტკინა, მაგრამ შეხვედრის შედეგი უკვე გადაწყვეტილი იყო. დამატებული 10 წუთი კი ბოლოს 13 იმიტომ გახდა, რომ ირანს პენალტი დაარტყმევინეს. ეს გადაჭარბებულად გვეჩვენება.

ეჭვს იწვევს აშშ-ისა და უელსის შეხვედრას დამატებული ჯამური 13 წუთის სამართლიანობაც. ცვლილებები და გარეთ ბეილის მიერ პენალტის დარტყმამდე დაკარგული დრო გასაგებია, მაგრამ ამის გამო მარტო მეორე ტაიმში 9 წუთის დამატება, რომელიც პროცესში 11 გახდა, ზედმეტი ხომ არ იყო?

ამ ყველაფერს „ლა გაძეტა დელო სპორტის“ ჟურნალისტი ანდრეა რამაძოტი წერს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კალეიდოსკოპი

# მოდელებმა გაიხადეს და თევზებთან კალენდრისთვის სურათები გადაიღეს



გერმანულმა ფირმა Carponizer-მა მორიგი კედლის კალენდარი გამოუშვა თევზაობის მოყვარულებისთვის, რომელშიც სანახევროდ გაშიშვლებული მოდელები თევზებთან ერთად პოზირებენ.

გადაღებებში 12-მა მოდელმა მიიღო მონაწილეობა. მათ გაიხადეს და დიდი ზომის თევზებთან ერთად გადაიღეს სურათები წელიწადის ყველა თვისთვის. აღნიშნული კალენდარი 18,7 ევრო ღირს.

კალენდრის შემქმნელმა ჰენდრიკ პოილერმა განაცხადა, რომ თევზაობა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ გატაცებას წარმოადგენს.

– აღნიშნული კალენდრის პოპულარობას ორი მიზეზი განსაზღვრავს: ეს იდეა უჩვეულო და, ამავე დროს, სრულიად უბრალოა. მამაკაცების უმრავლესობას უყვარს თევზაობა და ლამაზი ქალები და, აქედან გამომდინარე, ეს ორი რამ რატომ არ უნდა გავაერთიანოთ? – განმარტა პოილერმა.

# ჭკვიანმა ძაღლმა პატრონს ჩაკეტილი კარი გაუღო

ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ ჯორჯთაუნში ჭკვიანი ძაღლი თავის მეხანძრე პატრონს შენობაში შესვლაში დაეხმარა. ამ ფაქტის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.



მაშველი სახანძრო სადგურის შენობაში მუშაობდა, როდესაც გადაწყვიტა, მცირე ხნით გარეთ გასულიყო და ამ დროს შემთხვევით კარი ჩაეკეტა. როდესაც უკან დაბრუნება ცადა, აღმოჩნდა, რომ შენობაში შესასვლელი მაგნიტური ბარათის სისტემა დროებით მოიშალა. ასე რომ, შენობაში მხოლოდ მისი ძაღლი, სახელად კოდი დარჩა.

ძაღლმა კარს შიგნიდან უბიძგა და პატრონს გაუღო.

– მან შენიშნა, რომ კარის გაღებას ვცდილობდი, სწრაფად მოირბინა და შიგნით შესვლაში დამეხმარა, – განაცხადა მეხანძრემ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# არგენტინულ სენსაციას მხარი გერმანიამაც აუბა

### გერმანია-იაპონია 1:2
**დოჰა. ხალიფა სთედიუმი**
**1:0 გიუნდოგანი (33პ), 1:1 დოანი (75), 1:2 ასანო (83)**

**გერმანია:** ნოიერი, ზულე, რიუდიგერი, შლოტერბეკი, რაუმი, კიმიხი, გიუნდოგანი (გორეცკა 67), გნაბრი (მუკოკო 90), მიულერი (ჰოფმანი 67), მუსიალა (გიოტცე 79), ჰავერტცი (ფულკრუგი 79)

**იაპონია:** გონდა, საკაი (მინამინო 75), იტაკურა, იოშიდა, ნაგატომო (მიტომა 57), ენდო, ტანაკა (დოანი 72), იტო, კამადა, კუბო (ტომისაუ 46), მაედა (ასანო 57)

ჰანს-დიტერ ფლიკის გუნდმა მუნდიალი ცუდად დაიწყო. არადა, გერმანიის ნაკრებს წასაგები არაფერი ეტყობოდა, ყოველ შემთხვევაში, 75-ე წუთამდე.

33-ე წუთზე ილქაი გიუნდოგანმა დავიდ რაუმის მოპოვებული პენალტი გოლად აქცია. გერმანელებს ანგარიშის გაზრდაც შეეძლოთ, მაგრამ იაპონელთა მეკარე სუიჩი გონდა შეუვალი იყო. ჯამში, 7-ჯერ გადაარჩინა საკუთარი გუნდი, მაგრამ გამოსარჩევია ერთი მომენტი, სადაც ერთ შეტევაში ოთხი დარტყმა მოიგერია.

და გერმანია დაისაჯა... 74-ე წუთზე მანუელ ნოიერი შეცდა, ბურთი ცუდად მოიგერია და რიცუ დოანმა ცარიელი კარში შეაგდო. 83-ე წუთზე გერმანიის ნაკრებს უკვე ტაკუმი ასანო გაეპარა, რომელმაც ნოიერს ახლო კუთხეში გაუტანა.

იაპონიის ნაკრებმა ისტორიული გამარჯვება მოიპოვა და, არ არის გამორიცხული, ჯგუფიდან გასვლაზე პრეტენზია განაცხადოს.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – სიუიტი გონდა

გერმანელებმა იაპონელთა მეკარეს ვერაფერი მოუხერხეს. ერთადერთი გოლიც პენალტით გაუტანეს. სხვა შემთხვევებში გონდამ საოცრებები აკეთა, ხოლო ერთ ეპიზოდში გახერხებული ოთხი სეივი ალბათ დიდხანს იტრიალებს ვიდეორგოლებში.

### ესპანეთი-კოსტა რიკა 7:0
**დოჰა. ალ თუმამა სთედიუმი**
**1:0 ოლმო (11), 2:0 ასენსიო (21), 3:0, 4:0 ტორესი (31პ, 54), 5:0 გავი (75), 6:0 სოლერი (90), 7:0 მორატა (90)**

**ესპანეთი:** სიმონი, ასპილიკუეტა, როდრი, ლაპორტი, ალბა (ბალდე 64), გავი, ბუსკეტსი (კოკე 64), პედრი (სოლერი 57), ტორესი (მორატა 57), ასენსიო (უილიამსი 69), ოლმო

**კოსტა რიკა:** ნავასი, მარტინესი (ვესტონი 46), დუარტე, კალვო, ოვიედო (მატარიტა 82), სპენსი, ბორხესი (აგილერა 72), ტეხედა, ბენეტე (რუისი 61), კემპბელი, კონტრერასი (ზამორა 61)

ესპანეთმა მუნდიალი შთამბეჭდავად დაიწყო და კოსტა რიკის ნაკრები 7:0 გაანადგურა. აღსანიშნავია, რომ ესპანელებმა რამდენიც დაარტყეს, იმდენი გაიტანეს, ხოლო კოსტარიკელებს არათუ კარში, არამედ კარისკენაც არ დაურტყამთ. ეს მეორე შემთხვევაა მუნდიალების ისტორიაშიც. პირველიც კოსტა რიკას ეკუთვნის...

ესპანეთმა ყველაფერი პირველ ტაიმში (3:0) გადაწყვიტა, მაგრამ ბოლო წუთებამდე არ გაჩერებულა და შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა.

კოსტა რიკასთან დუბლი ფერან ტორესმა შეასრულა, თითოჯერ დანი ოლმომ, მარკო ასენსიომ, პაბლო გავიმ, კარლოს სოლერმა და ალვარო მორატამ გაიტანეს.

18 წლის გავი ესპანეთის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე გახდა, რომელმაც მუნდიალზე გოლი გაიტანა, ხოლო პელეს შემდეგ



ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონატზე გოლი გაუტანია.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – პაბლო გავი

18 წლის ფეხბურთელი უნარიანად უძღვებოდა ესპანელთა შეტევებს. გოლის გარდა, სხვა მომენტებშიც აქტიური იყო და კიდევ სამ გოლში მიიღო მონაწილეობა.

### ბელგია-კანადა 1:0
**ალ რაიანი. აჰმად ბინ ალი სთედიუმი**
**1:0 ბაჩუაი (44)**
**მე-11 წუთზე დევიდმა ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)**

**ბელგია:** კურტუა, დენდოკერი, ალდერვეირელდი, ვერტონგენი, კასტანიე, ტილემანსი (ონანა 46), ვიტსელი, აზარი (ტროსარი 62), კარასკო (მუნიე 46), დე ბრუინი, ბაჩუაი (ოპენდა 78)

**კანადა:** ბორიანი, ჯონსონი, ვიტორია, მილერი, ლარიეა (ადეკუგბე 74), ჰატჩინსონი (კონე 58), ეუშტაკიუ (ოსორიო 81), დევისი, ბიუკენენი (მილარი 81), დევიდი, ჰოილეტი (ლარინი 58)

ბელგიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატით გამარჯვებით კი დაიწყო, მაგრამ არ იყო ფავორიტის მიერ ნაჩვენები თამაში. მეტიც, კანადელებს უფრო ზუსტად რომ ემოქმედათ, შესაძლოა, მოეგოთ კიდეც.

კანადის ნაკრები სულ მეორედ არის მუნდიალზე და აქამდე გოლი არ გაუტანია. ამის შანსი მე-11 წუთზე ალფონსო დევის მიეცა, მაგრამ 11 მეტრიდან დარტყმული ბურთი ტიბო კურტუამ აუღო.

ბელგიამ მეტოქე გამოუყენებელი შანსებისთვის დასაჯა – 44-ე წუთზე მიჩი ბაჩუაი მცველებს გაექცა და მომენტი გოლად აქცია.

მეორე ნახევარში კანადა უპირატესობას კი ფლობდა, მაგრამ რეალური მომენტი ვერ შექმნა და... მუნდიალზე 36-წლიანი პაუზის შემდეგ წაგებით დაბრუნდა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ტიბო კურტუა

ფიფამ დე ბრუინი გამოარჩია, რაც თავად ფეხბურთელს გაუკვირდა. ჩვენი რჩეული ტიბო კურტუაა, რომლის მოგერიებული პენალტი გადამწყვეტი აღმოჩნდა.

### შვეიცარია-კამერუნი 1:0
**ელ-ვაკრა. ელ-ჯანუბი**
**1:0 ემბოლო (48)**

**შვეიცარია:** ზომერი, ვიდმერი, ელვედი, აკანჯი, როდრიგესი (კომერტი 90), ფროილერი, ჯაკა, სოუ (ფრეი 71), ვარგასი (რიდერი 81), შაჩირი (ოკაფორი 72), ემბოლო (სეფეროვიჩი 72)

**კამერუნი:** ონანა, ნკულუ, ფაი, კასტელეტო, ტოლო, ზამბო-ანგისა, გუე, ონგლა(ონდუა 68), ტოკო-ეკამბი (ნკუდუ 74), ჩუპო-მოტინგი (აბუბაქარი 74), მბეუმო (ნგამალუ 81)

დაძაბულ ბრძოლაში ევროპელებმა 1:0 მოიგეს. არადა, პირველ ტაიმში კამერუნი უკეთ გამოიყურებოდა, რამდენიმე ხიფათიც შექმნა მეტოქის კართან, მაგრამ შვეიცარიელთა მეკარე იან ზომერი და დაცვა ჩინებულად ირჯებოდნენ.

შესვენების შემდეგ უკვე შვეიცარია ათამაშდა და მალევე გოლიც გაიტანა – კამერუნის დედაქალაქ იაუნდეში დაბადებულმა ბრელ ემბოლომ შეაგდო და ისტორიული სამშობლოს კარში გატანილი გოლიც არ აღნიშნა.

დარჩენილ დროში კამერუნი შეეცადა, რამე შეეცვალა, მაგრამ ზომერი და დაცვა შეუვალი იყო.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – სილვან ვიდმერი

ისეთი გამორჩეული, რომ ვინმესთვის უპირატესობა მიგვეცა, არ ჩანს. საუკეთესო ალბათ სამი ფეხბურთელიდან უნდა შეგვერჩია – ემბოლო, ზომერი და ვიდმარი. ჩვენი რჩეული გახდა, რომელიც დაცვაში ძალიან მაგრად იდგა და რამდენიმე მომენტში ვარდნაში საკუთარი გუნდი იხსნა.

## გორი ჩემპიონთა ლიგას უმასპინძლებს

ხვალ გორში ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონთა ლიგა იწყება. შემადგენლობები, რომლითაც ქართული გუნდები ტურნირში ჩაერთვებიან, ცნობილია. გასაკვირი არ არის, რომ ქართულ გუნდებში არაერთ ჩვენებურ ვარსკვლავს ვიხილავთ, მაგრამ ყველაზე მეტ ინტერესს ლეგენდარული ტედი რინერის ჩამოსვლა იწვევს. ოლიმპიადის 3-გზის, მსოფლიოს ჩემპიონატის 10-გზის, ევროპის ჩემპიონატის 5-გზისა და მასტერსის 4-გზის ჩემპიონი უკვე საქართველოშია და ტურნირისთვის ემზადება.

**რინერი გორში პსჟ-ს ღირსებას დაიცავს. სულ კი, კაცთა ტურნირში 8 გუნდი მონაწილეობს:** გოლდენ გორი, მებრძოლი, არეა (სამივე ქართული), ფრანგული პსჟ და სჟს, ბერძნული არისი, სერბული ცრვენა ზვეზდა და ესპანური სტაბია. გუნდები ერთმანეთს ხუთ წონით კატეგორიაში (66, 73, 81, 90, +90) დაეჭიდებიან.

**ქართული გუნდების შემადგენლობები:**

**გოლდენ გორი:** ვაჟა მარგველაშვილი (66), ლაშა შავდათუაშვილი (73), ვლადიმერ ახალკაცი (81), ბექა ღვინიაშვილი, ლუკა მაისურაძე (ორივე 90) და გელა ზაალიშვილი (+90).

**მებრძოლი:** გიორგი თუთაშვილი, ბაგრატ ნინიაშვილი (ორივე 66), გიორგი ჩიხელიძე (73), ფრიდონ გიგანი, ტატო გრიგალაშვილი (ორივე 81), ავთანდილ ჭრიკიშვილი, ლევან გუგავა, უშანგი მარგიანი, ლაშა ბექაური (ყველა 90), ვარლამ ლიპარტელიანი, გურამ თუშიშვილი, ონისე სანებლიძე (ყველა +90).

**არეა:** თენგო ზირაქაშვილი, გიორგი სარდალაშვილი (ორივე 66), გიორგი ტერაშვილი, ვახტანგ პავლიაშვილი (ორივე 73), გიორგი შერაზადიშვილი (81), სოსო ებილაშვილი, ნიკა ხარაზიშვილი (ორივე 90), საბა ინანეიშვილი, შალვა გურეშიძე (ორივე +90).

## ბითაძე ათამაშეს, მამუ სკამზე დარჩა

ხანგრძლივი უქმობის შემდეგ ინდიანა პეისერსის ქართველი ცენტრი გოგა ბითაძე მოედანზე 15 წუთით შეუშვეს და ჩვენებურმა ეს დრო კარგად გამოიყენა. მართალია, გოგას ფანტასტიკური სტატისტიკა არ ჰქონია, მაგრამ, რაც დაუთმეს, იმ დროში ბევრ კომპონენტში გუნდს სარგებლობა მოუტანა.

ინდიანელები შინ მინესოტა ტიმბერვულვზს დაუხვდნენ და 101:115 დამარცხდნენ. გოგამ 4 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი, 2 ჩაჭრა და 3 დაფარება მოინაგრა. ჩვენებურმა 4-დან 2 ორქულიანი ჩააგდო, 1 სამქულიანი ააცილა, ბურთი არ დაუკარგავს და მხოლოდ 1 პერსონალური ფოლი მიიღო. ქართველი ცენტრი მასპინძელთა რიგებში ერთადერთი იყო, ვისაც ქულებში დადებითი კოეფიციენტი ჰქონდა.

ინდიანას 10 მოგება და 7 მარცხი მოუგროვდა და აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-5 ადგილზე იმყოფება. ბითაძის გუნდი მომდევნო შეხვედრასაც შინ ბრუკლინ ნეტსთან გამართავს.

ზედიზედ ცხრა მოგებით დაწყებული სეზონი სანდრო მამუკელაშვილის მილუოკი ბაქსმა თანდათან გააუფერულა. „ხარირმებმა" ბოლო 8 მატჩიდან ხუთი წააგეს. ამ დილით შინ ჩიკაგო ბულსთან 113:118 დამარცხდნენ.

მამუკელაშვილი გუნდის განაცხადში კი იყო, მაგრამ მოედანზე გასვლის საშუალება არ მისცემია. მილუოკი 12 მოგებითა და 5 მარცხით აღმოსავლეთ კონფერენციაში მეორეა, მომდევნო მატჩი კი კლივლენდ კავალიერსთან ელის.

ევროტურნირზე ითამაშა ბექა ბურჯანაძის რეჯიო ემილიამ და ფიბა-ს ჩემპიონთა ლიგაში უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა. იტალიური გუნდი თურქულ ქარშიაქას დაუხვდა და დაძაბულ ბრძოლაში – 74:70 დაამარცხა.

ემილიელები 3 ტურის შემდეგ 1 მოგება ჰქონდათ და ლიდერს მასპინძლობდნენ. 4-გუნდიანი ჯგუფიდან 2 საუკეთესო გადის და ეს მატჩი რომ წაეგო, ბურჯანაძის გუნდს დარჩენილ 2 ტურში სასწაული თუ უშველიდა, ახლა კი, ქარშიაქას დამარცხების შემდეგ, 2-2 მოგებ-წაგებით თურქულ გუნდთან ერთად ჯგუფს სათავეში ჩაუდგა.

ქართველი ფორვარდი სასტარტო ხუთეულში იყო და, მიუხედავად იმისა, რომ ქულა ვერ მოიპოვა, მოედანზე საკმაოდ დიდი დრო გაატარა – 19:38 წუთი. ჩვენებურმა 2-2 ორქულიანი, სამქულიანი და საჯარიმო ააცილა, 4 მოხსნა, 2 პასი და 1 დაფარება კი მიითვალა ისე, რომ ბურთი არ დაუკარგავს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი" ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. დედათა მონასტერი ფარავნის ტბის მახლობლად; 2. მდინარე ციმბირში; 3. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 4. ღამის ფრინველი; 5. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 6. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი ირანში; 7. ოპერა „დაისის" პერსონაჟი; 10. დამარილებული და შებოლილი ღორის ხორცი; 11. სპორტის სათამაშო სახეობა; 12. სასტუმრო ავტოტურისტებისათვის; 13. ბრიტანული ტაქსი; 16. ფოტოგრაფის სახელოსნო; 18. იმპრესიონიზმის ფუძემდებელი ფრანგი მხატვარი; 19. სპარსელი პოეტი; 21. რაჭა-ლეჩხუმში გავრცელებული დიდი საწნახელი; 24. ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი.

**თარაზულად:** 1. ბეთჰოვენის ოპერა; 3. შამფურზე შემწვარი, ხახვითა და სუნელებით შეზავებული დაკეპილი ხორცის მოგრძო გუნდა; 8. მესხების, გურულების, აჭარლების მოკლე ჩოხა; 9. ბალკანეთის სლავების საფერხულო ცეკვა; 14. საქართველოში მოღვაწე მე-20 საუკუნის ფრანგი ისტორიკოსი, არქეოლოგი; 15. იტალიური მსუბუქი ავტომობილი; 17. ჭადრაკის ფიგურა; 20. ნაბეჭდი ტექსტის საზომი ერთეული; 22. ნავსადგური უკრაინაში; 23. აზერბაიჯანის პრეზიდენტი; 25. საყოფაცხოვრებო ელექტრონული ხელსაწყო; 26. ხოხბის, კაკბის, გნოლის ბარტყი; 27. ცხვრის ქონიანი კუდი; 28. ტუნისის ჩრდილოეთში მდებარე ისტორიული მონათმფლობელური სახელმწიფო.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სხალთა; 2. იაგო; 3. სამეგრელო; 4. ულისე; 5. რატიანი; 8. იაფეტი; 9. აპრობაცია; 12. სულორი; 14. როლერი; 16. ერატო.

**თარაზულად:** 1. საკვოიაჟი; 6. ბასტილია; 7. ალტინგი; 9. ასკერი; 10. ლემა; 11. ლეკლერი; 13. პორტა; 15. ბურიმე; 17. გორდელა; 18. კოპოლა; 19. შტირია; 20. ნოკაუტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჯეკი; 2. ირი; 3. რაფინადი; 4. პო; 5. კანონადა; 6. ჯარა; 7. ქაშვეთი; 10. ტროა; 11. სიურპრიზი; 12. ვალმარტი; 13. მესა; 16. ტროფეი; 18. სალიამი; 19. აპოხტი; 21. შტილი; 24. დაზგა.

**თარაზულად:** 1. ჯამბაზი; 3. როკაპი; 8. ჯაფარა; 9. კიტო; 14. შოლცი; 15. კესონი; 17. ლუზა; 20. დეპეშა; 22. დრაგი; 23. პრაიდი; 25. ლია; 26. ფინო; 27. ჩილე; 28. ზანზალაკი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

25 ნოემბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7117

ევრო — 2.8218

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2866

100 რუსული რუბლი — 4.4871

## ამინდის პროგნოზი 25 ნოემბრისათვის




## ესპანეთის ნაკრებმა კოსტა რიკა გაანადგურა



ესპანეთის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატი ძალიან კარგად დაიწყო და პირველ შეხვედრაში მათ კოსტა რიკა 7:0 გაანადგურეს. ესპანელები მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას და მათი დომინაცია კითხვის ნიშნის ქვეშ არ დამდგარა. შემდეგ შეხვედრას ესპანეთი გერმანიის წინააღმდეგ გამართავს და გერმანიისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი იქნება, რადგან მათ პირველი თამაში წააგეს და შეცდომის დაშვების უფლება არ აქვთ.

## მესი: „არგენტინას ერთიანობა სჭირდება“



არგენტინის ნაკრებმა პირველი შეხვედრა მუნდიალზე წააგო და მათ შეცდომის დაშვების უფლება აღარ აქვთ. მესიმ ამ საკითხზე ისაუბრა და თქვა, რომ ნაკრებს ერთიანობა ისე სჭირდება, როგორც არასდროს: „ყოველთვის ვიცოდით, რომ სირთულეების გარეშე ვერაფერს მივაღწევდით და ახლა ეს სირთულეები უნდა დავძლიოთ. მინდა, არგენტინა მსოფლიო ჩემპიონი გახდეს და ეს ყველას ოცნებაა“.

## იუმორი

დედა შვილს ეკითხება:

– შვილო, სახეზე რა დაგემართა:

– კრაზანა დამაჯდა.

– გიკბინა?

– არა, ვერ მოასწრო, მამამ ნიჩბით მოკლა.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– შენი ცოლისთვის ოდესმე თუ გითქვამს ის, რასაც მასზე მართლა ფიქრობ?

– კი, გინდა, თავზე იარები გაჩვენო?

●●●

მამაკაცი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, აი ჩემი ანალიზის პასუხები, მინდა, კიდევ ვიცოცხლო!!!

– ჩემო კარგო, ამისთვის ანალიზები არ კმარა. ფული გაქვს?

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– ლელა, რა აჩუქე შენს ქმარს?

– რა უნდა მეჩუქებინა იმ ადამიანისთვის, რომელსაც მე ვუყვარვარ? რა თქმა უნდა, ვალერიანის წვეთები...

●●●

მედდა ექიმს ეკითხება:

– ექიმო, როგორია ჩვენი პაციენტის მდგომარეობა?

– რთული საკითხია, მაგრამ, იმედი ვიქონიოთ, რომ მკურნალობაზე ეყოფა...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## თამარ სხირტლაძე 93 წლის ასაკში გარდაიცვალა



თეატრისა და კინოს მსახიობი თამარ სხირტლაძე 93 წლის ასაკში გარდაიცვალა. კოტე თოლორაიას მეუღლე და თაზო თოლორაიას დედა სიცოცხლის ბოლომდე ქართული კულტურის ერთგული დარჩა.

ქართული თეატრის უხუცესი მსახიობი მარჯანიშვილის თეატრში მოღვაწეობდა.

სახალხო არტისტი სხვადასხვა წლებში მარჯანიშვილისა და რუსთავის თეატრების მსახიობი იყო, თუმცა სამეფო უბნის თეატრში მან და მედეა ჩახავამ ითამაშეს სპექტაკლში „აქ, ამ სავანეში“, რომელიც ყოველთვის სრული ანშლაგით მიმდინარეობდა.

თამარ სხირტლაძის მიერ შესრულებული თეატრალური კი კინოროლები მაყურებელმა განსაკუთრებულად შეიყვარა. როგორც თავად ამბობდა, ერთადერთი შვილის სიკვდილი სწორედ საკუთარმა პროფესიამ გადაატანინა.

მსახიობს მიღებული აქვს არაერთი პრემია და ჯილდო: „ხელოვნების ქურუმი“, „საქართველოს სახალხო არტისტი“, ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის პრემია, ღირსების ორდენი, საქართველოს სსრ „ხუთწლედის მატიანის“ პრემია კინოფილმში „დღეს ღამე უთენებია“ მთავარი როლის შესრულებისთვის, ასევე, ის იყო თბილისის საპატიო მოქალაქე.

მისი მშობლიური მარჯანიშვილის თეატრის წინ გაიხსნა თამარ სხირტლაძის სახელობითი ვარსკვლავი, გამოიცა საიუბილეო ალბომი „თამარ სხირტლაძე“ – ავტორი რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი, მიენიჭა „წლის პერსონის“ წოდება, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ კი ელისაბედ (ლიზა) ჩერქეზიშვილის სახელობის ჯილდო გადასცა.

## ელისო ბოლქვაძემ ნორჩი მუსიკოსებისთვის მასტერკლასი ჩაატარა



იუნესკოს მშვიდობის არტისტმა ელისო ბოლქვაძემ ნორჩი მუსიკოსებისთვის მასტერკლასი ჩაატარა.

კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ ევგენი მიქელაძის სახელობის თბილისის ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელში გამართა მოსმენა, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან 10-დან 18 წლამდე ნორჩი პიანისტები მონაწილეობდნენ.

შერჩეული ახალგაზრდა ტალანტები ელისო ბოლქვაძის მხარდაჭერით მომავალი წლის გაზაფხულზე პარიზში სადღესასწაულო კონცერტზე წარდგებიან. გალასაღამო საერთაშორისო ფონდის „სოს ტალენტს ფოუნდეიშან“ ორგანიზებით მარსელ დასოს ისტორიულ სასახლეში გაიმართება.

## რაფაელ ნადალი: „ოჯახი უდიდესი ბედნიერებაა“



მსოფლიო ჩოგბურთის ლეგენდამ რაფაელ ნადალმა ოჯახურ ცხოვრებაზე ილაპარაკა და თქვა, რომ ის ძალიან ბედნიერია, შესაძლოა, უახლოეს მომავალში ჩოგბურთიდან წასვლაზეც იფიქროს და ოჯახთან მეტი დრო გაატაროს: „ჩოგბურთი ჩემი ცხოვრებაა, მაგრამ, მას შემდეგ, რაც დავქორწინდი, მხოლოდ ოჯახზე ვფიქრობ და მინდა, რომ სულ მათთან ვიყო. შესაძლოა, ამის გამო კარიერა დავასრულო კიდეც“.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## მირიან ხუხუნაიშვილი ციურიხში დააჯილდოვეს




ახალგაზრდა დირიჟორი მირიან ხუხუნაიშვილი ციურიხში დააჯილდოვეს.

თანამედროვეობის გამორჩეული დირიჟორის პაავო იარვის ხელმძღვანელობით ყოველწლიურად ციურიხში, ტონჰალეს დარბაზში, სადირიჟორო აკადემია ეწყობა. წელს აკადემიამ გამონაკლისი დაუშვა და ერთდროულად ორი ჯილდო ქართველ მუსიკოსს გადასცა. ისტორიაში პირველად აკადემიის ორი პრიზი ერთმა მონაწილემ მოიპოვა.

ციურიხში, ტონჰალეს დარბაზში გამართული სადირიჟორო აკადემიის ორგანიზატორი ციურიხის ტონჰალეს ორკესტრია.

ყოველწლიურად აკადემია 6 დირიჟორს ირჩევს, რომელთაც საშუალება ეძლევათ, 4 დღის განმავლობაში ტონჰალეს ორკესტრთან იმუშაონ. რეპეტიციები მაესტრო იარვის მენტორობით ტარდება და ონლაინპლატფორმებზე პირდაპირი ეთერით გადაიცემა.

## ნათია თოდუამ შტუტგარტის ჯაზფესტივალზე „ყვავილების ქვეყანა“ იმღერა



გერმანული „ვოისის“ გამარჯვებულმა ქართველმა მომღერალმა ნათია თოდუამ გერმანიაში შტუტგარტის ჯაზფესტივალზე „ყვავილების ქვეყანა“ იმღერა და დამსწრე საზოგადოება აღაფრთოვანა:

– ჩვენი კონცერტის დასასრულს გამოვაცხადე, რომ შევასრულებდით ქართულ სიმღერას და ამით დავასრულებდით ჩვენს გამოსვლას შტუტგარტის ჯაზფესტივალზე.

ჩემი გამოცხადების შემდეგ ფესტივალის ორგანიზატორმა მანიშნა, რომ ჩვენი დრო უკვე ამოიწურა და სცენაზე გამოსასვლელად სხვა მონაწილე ემზადებოდა.

რადგან უკვე გამოცხადებული მქონდა, რომ ქართული სიმღერა იქნებოდა ბოლო ნომერი, ვერ შევძელი მსმენელთან მოულოდნელად დამშვიდობება და დავიწყეთ დაკვრა პირდაპირ.

ძალიან ვამაყობდი იმით, რომ ამ ფესტივალზე ქართული სიმღერა პირველად გაჟღერდა, მაგრამ, ამასთანავე, ძალიან განვიცდიდი იმას, რომ ჩვენს დროს გადავაჭარბეთ.

ასე სცენაზე, მგონი, კონკურსის მერე არ მინერვიულია.

ჩვენს მსმენელს ძალიან მოეწონა, ჩვენც ვისიამოვნეთ და, იმედი მაქვს, რომ კიდევ ბევრ საინტერესო, მნიშვნელოვან და ლამაზ სიახლეს გაგიზიარებთ, ძვირფასო მეგობრებო.

პ.ს. კონცერტის დასასრულს, სცენიდან რომ გავდიოდით, ვაკვირდებოდი ორგანიზატორს, რომელიც ბოლოს, როგორც იქნა, დამშვიდდა, მოვიდა და მომილოცა სადებიუტო გამოსვლის წარმატებით შესრულება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 25 ნოემბრისათვის



**ვერძი** – წინააღმდეგობრივი დღეა. პირველი ნახევარი იღბლიანია ახალი ურთიერთობების დასაწყებად. საღამოს პარტნიორთან კონფლიქტს ელოდეთ. **კურო** – კრიტიკული დღეა. მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობების იმედად იყავით. იოლად ნურავის მიენდობით. **ტყუპები** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები თამამად მიიღეთ. **კირჩხიბი** – შესაძლოა მოულოდნელად გამგზავრება მოგიხდეთ. ინტიმურ სფეროში აქტიურობას პლანეტები არ გირჩევენ. **ლომი** – დღის პირველ ნახევარში ყოველგვარი კომერციული საქმიანობა დაუშვებელია. საყვარელ ადამიანთან ემოციებს ნუ გამოავლენთ. **ქალწული** – ახალი სასიამოვნო ინფორმაცია თქვენს ცხოვრებას შეცვლის. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **სასწორი** – გადახედეთ სამომავლო გეგმებს. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას დღეს ნუ მიიღებთ. **ღრიანკალი** – ნებისმიერი საქმიანობისადმი შემოქმედებითი მიდგომა სასიკეთო შედეგს გამოიღებს. ბავშვების ინტერესები გაითვალისწინეთ. **მშვილდოსანი** – კეთილისმყოფელი დღეა. იაქტიურეთ. შემოთავაზებულ წინადადებებზე უარს ნუ იტყვით. **თხის რქა** – იღბლიანი პერიოდია ახალი იდეების რეალიზაციისათვის, ასევე საპირისპირო სქესთან ურთიერთობისათვის. **მერწყული** – სარისკო ფინანსური ოპერაციებისგან თავი შეიკავეთ. სუფთა ჰაერზე გასეირნება სასიკეთოდ წაგადგებათ. **თევზები** – კარგი დღეა საქმიანი შეხვედრებისათვის. ოჯახურ პრობლემებს იოლად მოაგვარებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ხელოვნური არხების სახელწოდება ნიდერლანდებში; 2. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 3. წყალმცენარეების შემსწავლელი ბოტანიკის ნაწილი; 4. მდინარე ევროპაში; 5. სომხური ანბანის, დამწერლობის შემქმნელი; 8. ღვინის საბატონო გადასახადი ძველად საქართველოში; 9. ფარისევლური ქცევის, ქლესა, ცბიერი ადამიანი; 12. თაღლითი ბანქოს თამაშში; 14. ქართული სამშენებლო კომპანია; 16. ფულის ერთეული ჩინეთში.

**თარაზულად:** 1. ილია ჭავჭავაძის პოემა; 6. ხელშეკრულებაში, ანდერძში საგანგებო პირობა; 7. უდაბნო ჩილეში; 9. ინდოელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 10. აუქციონ „კრისტის“ მფლობელი; 11. ძველებური სასუნთქი თამბაქო; 13. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი; 15. აქლემის, ცხენის რძისგან მომზადებული სასმელი; 17. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 18. სიყვარულისა და სილამაზის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 19. ფულის გამოშვება; 20. წმინდანად შერაცხული ქართველი მეფე.




*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*